


140
1957/3

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ



Վ. ռ. ռ. Ն. ր. կ. ռ

№ 6

0360ՆՈ
1957

ეს არ მოხდება!



მუსრან მაჭავარიანი

პლაკატი ნ. მალაზონიასი

აი, საცაა ეს თოთო ბაღი
უნდა გასრისოს ჯალათის ფეხმა...
— ნეტა, ამოწყდა ამ ქვეყნად ხალხი,
თუ სამართალი მოისპო ქვეყნად?!
— აქ ვართ!—
გრიანებს ხალხის ხმა მძლავრი;
ამარცხებს ტყვიას მარცვალნი ხორბლის...
ვხედავ:
დამდგარა შუადღე წყნარი,

ვხედავ:
ეს ბავშვი სკოლიდან მორბის.
მჯერა:
ამ ბავშვის ხმა დაბობდება,—
შეურთდება ხალხების ძახილს...
აქ რაც ჰხატია—
ეს არ მოხდება!—
ქვეყნად ჯერ კიდევ არსებობს ხალხი.



რეპაზ ინანიშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

ქლიერი ფესვი

მ მ თ ხ რ მ ბ ა

როგორც კი მაისი დადგება, როგორც კი გზებზე თრიალეთისაკენ მიმავალი პირველი ცხვრის ფარები გამოჩნდება, მამაჩემს გაეღიმება და იტყვის: აბა, ცოტა თადარიგინად ვიყოთ, ამ დღეებში ჯალილა ყაჩალი დაგვეცემო. („ყაჩალს“, სუმრობით, იორმულანლოელ ძმაკაცს ეძახის. მამა და ის ომში ერთად იყვნენ, ახლა კოლმეურნეობის უფროსი მწყემსია). იტყვის ამას და, მართლაც, ორიოდ დღე არ გაივლის, რომ ჩვენი უბნის ძაღლებს ერთი ვაითავისაცემი გაუჩნდებათ. ორ-ლობეში ქარბობოლასავით შემოიჭრება აკივლებული ცხენოსანი — ეჭეი!.. უკან მოიტოვებს ელდანაცემ ძაღლებს, შემოვარდება ჩვენს ეზოში, ცხენს ქვის კიბეებზე ამოაგდებს, მათრახის ტარით მოსწვდება მოაჯირს და მთელი ძალით დააბრახუნებს.

გავეგებებით დიდიან-პატარიანად. მამაჩემი და ის ერთმანეთს გადაეხვევიან, კისრებს მოუსინჯავენ, წელშიც მოსწვევენ, შეაჭანჭყარებენ და რაკი ნახავენ — ისევ მაგრად არიან ერთიც და მეორეც, ისევ გადაეხვევიან და სიცილ-ხარხარით ამოვლენ ძაღლს.

მე ცხენს ვეცემი და აქეთ-იქით დავუწეებ ტარებას, რომ არ დაჭვრილოს. დედა და ბებია ქათმებს აკრიახებენ, პაპა მარანში ჩავა, უდღეოდ დაყენებულ ღვინოს სარკველს მოხდის. მიკითხვა, მოკითხვა და...

ჯალილა ჭრელ ხურჯინს მიიჩოჩებს, რომლის ერთი თვალიდან ლამაზ ბატკანს ამოუყვია თავი, ხოლო მეორე, ყველის ვეებერთელა კვერთხა და საჩუქრებით არის

სავსე. დაიწყებს ამოლაგებას — ეს დედას, ეს ბებიას, ეს პაპას...

ჩემთვის კი...

ამოსვამს იმ ლამაზ ბატკანს. წაბარბაცდება საწყალი, წაიჩოქებს. მერე გამართავს დაბუებულ მუხლებს და პეტელით, ბაკი-ბუკით გაივლის იატაკზე. გახედავს გეზად ჯალილა, ერთხელაც შეამოწმებს — ხომ არ მოვტყუებულვარო. გაიცინებს, გამოაჩენს ქათქათა მაგარ კბილებს და იტყვის:

— ეს ჩემმა ისმაილმა გამოუგზავნა ზალიკოსაო.

გაიშლება სუფრა. დასხდებიან ერთად მამა და თავისი კარგი ყონალი. იტყვიან ამას, მოაბამენ იმას, მოაყოლებენ ათას რამეს და თან ნელა-ნელა სვამენ. ჯალილა ნეტარებით ლულავს გიზგიზა თვალებს და სულ იცინის, იცინის...

წელიწადში ორჯერ მოდის ხოლმე. ერთხელ, როგორც ვითხარით, მაისში, თრიალეთში გამგზავრების დროს, მეორედ — სექტემბრის ბოლოს, თრიალეთიდან მომავალი.

სექტემბერში ვენახში წავიყვანთ. ორმოცდახუთი წლის იქნება, მაგრამ ისე მოდის, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო. დაუცუცქდება გზადშემოხვედრილ ყმაწვილებს, შესცინებს, შეუღიტინებს, თავის თეთრ ბოხოს დაახურებს, გააცინებს და შუბლზე აკოცებს.

— ჯალილას გაუმარჯოს! დაუძახებენ შორიდანვე

და ხან ერთი გადაიპატიუებს ვენახში, ხან მეორე.
როცა გვეთხოვება, თან იღიმება და თან ბუზღუ-
ნებს. იმისი ხურჯინი პირამდეა სავსე და ჯავრობს —
ცხენს წელს მომაწყვეტინებთო.

ერთადერთი შვილი ყავს — ისმაილი. იმანაც შარ-
შან დაამთავრა მერვე კლასი, მეც.

მე მისი ბევრი რამე ვიცოდი. ჯალილა ხშირად ყვე-
ბოდა: ისმაილმა ესა თქვა, ისმაილმა ეს გააკეთაო. მაგ-
რამ პირადად... პირადად მხოლოდ წელს გავიცანი.

მაისი იყო. ჩვენ მარტო ჯალილას ველოდით. გაია-
რა რამდენიმე ფარამ. და აი ერთ დღეს ატყდა ჩვეუ-
ლებრივი ამბავი: ძაღლების ყეფა, ცხენის თქარათქუ-
რი... გავვარდი შესახვედრად და რასა ვხედავ: ჯალი-
ლას გვერდზე ჩემი ხნის ცხენოსანი უდგას. იმასაც
თეთრი, დიდი ბოხოხი ჰხურავს, შოლტი უკავია, კუბ-
რივით შავ ცხენს თავს უჭერს და იცინის.

მაშინვე მივხვდი, რომ ეს ისმაილი იყო. გავქანდი
და უზანავი დაფუჭირე — ჩამობრძანდი-მეთქი. ჩამოხტა,
ხელი ჩამომართვა. ის ბოხოხი მოიხადა და სიხარულის
აღმურში გაეხვია. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ალბათ არც
იმან იცოდა და უნებურად მივხედეთ ჩვენებს.

მამა და ჯალილა ხელმოხვეულები იდგნენ, ჩვენ გვი-
ყურებდნენ და ეღიმებოდათ, ბედნიერად ეღიმებოდათ.

— გადაეხვიეთ, თქვე ვირისთავებო! — დაიძახა მა-
მამ და ჯალილამაც შეაშველა მჭახე ხმით:

— ჰაი, უხეიროებო!

ჩვენ კიდეც უფრო შეგვრცხვა. მაგრამ მაინც გადა-
ვხვებით და ერთმანეთს ვაკოცეთ.

მაშინ მამამ და ჯალილამ ხმამაღლა გადაიხარხარეს.
საიდანაც პაპაჩემი გამოჩნდა. გაისვა ხელი უღვავაზე
და იმანაც აკოცა ისმაილს. დედა ხომ ისე იყო აბნეული,
აღარ იცოდა რა ექნა. ისმაილს ქული გამოართვა, თით-
ქოს ძალიან ამძიმებსო. მე საყულო შემიკრა. ერთი კო-
ნა დარჩენილიყო თონესთან, ის აიღო და საფიჩხეზე
შეაგდო.

მერე...

მერეც ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა. მე ერთ
დღელს დამადევნეს, პაპამ თავის „უდედოს“ მოუჩო-
ქა. ბებიამ ახალი შოთები ამოლაგა. დავუძახეთ ბი-
ძაჩემს, მამიდას, ხანდრო ძიას. ხელდახელ გაეწყო სუფ-
რა, და წავიდა სმა და დროს ტარება.

მე და ისმაილი ერთად ვისხედით. ხომ ვთქვი, ჩემი
ტოლია-მეთქი. ჩემი ტოლია, მაგრამ ჩემზე დიდად მეჩ-
ვენებოდა. მაჯები ჰქონდა — კარგ ვაუკაცს რომ შე-
შურდებო! იჯდა მორცხვად და იღიმებოდა. მეც, რო-
გორღაც, უხერხულად ვგრძნობდი თავს. მით უმეტეს,
რომ ვხედავდი — ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ. განსა-
კუთრებით ჩვენი მამები. დაგვიწყებდნენ ეშმაკურ ყუ-
რებას, დაგვიწყებდნენ, გადაუჩურჩულებდნენ ერთმა-
ნეთსა და გაეცინებოდათ. ჩვენც გაგვეცინებოდა. მაგრამ,
რატომ, არ ვიცი.

კუთრებისგან მარტო ეს ვთქვით: ვის რა ნაჭერი უყ-
ვარდა ქათმის. და კიდეც — როგორ მოხდა, რომ სკო-
ლიდან თავისუფალი იყო და მთაში მიჰყვებოდა მამას.

ისმაილმა გაიცინა. ვაშლი გასჭრა, ნახევარი მე მო-
მაწოდა, ნახევარი თვითონ დაიდო თეფშზე და თქვა:

— მე ხომ არა ვსწავლობ.

— როგორ! გავიკვირვე მე.

— შარშან მეცხოველეობის ტექნიკუმში ვაბარებდი
გამოცდას და ვერ მოხვდი.

— მერე?

— მერე — წელს უთუოდ მოხვდები.

— მეცადინეობ?

— ჩავაბარებ.

ეს ისე თქვა, ისე დაადო თავისი ღონიერი მუშტი მა-
გიდას, რომ იმ წამში დავიჯერე — ჩააბარებდა. მანამ-
დე კი... მანამდეც ბედნიერი კაცი იყო. მთა, ცვრით გან-
ბანილი ბალახები, ნისლი, არწივები, დიდ-დიდი ძაღ-
ლები...

— მთაში პირველად მიდიხარ?

— პირველად, მაგრამ ეს ზამთარი მწყემსებთან გავა-
ტარე, შირაქში.

— რას აკეთებდი?

— ყველაფერს. ცხვარს ვაძოვებდი, ბინებს ვამე-
ნებდი. უფრო ხშირად კი ვეტექიმს ვეხმარებოდი.

ისმაილთან შედარებით კიდეც უფრო პატარად მო-
მეჩვენა თავი. მაგრამ არ მწყენია. პირიქით, მიხაროდა,
რომ ასეთი კაცი მყავდა გვერდით.

შემდეგ უფროსები სვამდნენ. ჩვენ კი ასე ვისხე-
დით. ვისხედით და ყურს ვუგვებდით.

მამამ მოწყენა შეგვატყო და მითხრა: ადექი, შენი
ძმაცაი გაატარე, სოფელი აჩვენეო.

ავდექით და გარეთ გავედით. საით წამეყვანა არ
ვიცოდი.

— აგერ ის იორია. — დავანახე ჭაღებში ჩაკარგუ-
ლი მდინარე.

— ვიცი.

— გალმა ჩვენი კოლმეურნეობის ბაღია. რა ბლები
დგას, რომ იცოდეს! აი ამსიმსხო, თავლივით ტკბილი!
გრძელი, წითელი სახურავი რომ მოჩანს, ხომ ხედავ?

— ხო.

— ეგ ჩვენი სკოლაა. სკოლის წინ კლუბია.
დაბლა ჩავედით.





ყარაგიოზს ქუსლები ამოვკარი... აქ, შენ ეს მიყავიო —
წაიგრძელა კისერი და წავიდა ისარივით.

თითქოს პირველად დავინახე გადაღრეცილი საფიჩხე და თავხეჩამომტვრეული თალარი.

— უხ, თქვენი! — გავიფიქრე გუნებაში და თვალი ავარიდე.

ურთიგო არ იყო ჩვენი კარ-მიდამო, ურთიგო არ იყო შემოგარენი, ცა, მზე, მაგრამ მინდოდა უფრო კარგი, უფრო ლამაზი ყოფილიყო ყველაფერი.

ისმაილმა ცხენებთან მიმიყვანა და თავის ცხენს გავზე ხელი გადაუსვა.

— ჩემი გაზრდილია! — თქვა სიამაყით.

— მართლა? რა ჰქვია?

— ყარაგიოზი. გინდა შეგსვა?

გამოგიტყდებით, ცხენზე აქამდე არა ვმჯდარვარ. მუხლებში ურუანტელმა დამიარა, მაგრამ მაინც თავი დავუქნიე. მაშინ ისმაილმა სწრაფად დაუმოკლა გარსაკრები ორივე ცხენს. დამიჭირა ყარაგიოზის უზანგი და მითხრა.

— ყარაგიოზი ჰკვიანია. თავის ნებაზე მიუშვი და ნურაფრის ნუ შეგეშინდება.

მე უზანგში ფეხი შევკავი და უნაგირზე გადავიბლოტე. ისმაილს გაეღიმა. მეტი არაფერი, მხოლოდ გაეღიმა. ელვასავით გადაევილო მამამისის ლურჯას და დავიძარით.

მიუხედავად გაფრთხილებისა, მაინც თავბრუ მესხმოდა, აღვირ ვქაჩავდი და მუხლებს ვუჭერდი.

— აღვირი მიუშვი, მუხლებს ნუ უჭერ, ნუ გეშინია! — მომძახოდა ისმაილი. და მეც — რაც არის, არის-მეთქი — მივუშვი. მივუშვი და ყარაგიოზიც წავიდა წყნარი ქვეყევით, ამაყად, კისერმოღერილი.

მე შვებით ამოვისუნთქე და აქეთ-იქით მიმოვიხე-

დე — აბა, მიყურებს ვინმე-მეთქი, თუ არა. მიყურებდნენ. და ამან მთლად ფრთები შემასხა, ყარაგიოზს ქუსლები ამოვკარი.

აქ, შენ ეს მიყავიო — წაიგრძელა კისერი ყარაგიოზმა, წაიგრძელა კისერი და წავიდა ისარივით. დაბზრიალდნენ ხეები, ტელეფონის ბოძები, გზა. დამაყარა ყბებზე ეკალი. მაგრამ ხმას რა ამომადებინებს! წავექი უნაგირზე და როდის-როდის გავხედე ისმაილს.

შემატყო ისმაილმა — ცუდად მქონდა საქმე. ღიმი გაუქრა, წამოიწია წინ, შოლტი ასწია, შეაჟღარუნა, დამეწია. არ შეშინდე, არ შეშინდეო და... მიტაცა ლამაზე ხელი. ყარაგიოზმა იმ წამსვე სვლა შეანელა და მეც გაღიმება შევქელი.

— ყოჩაღ! — შემაქო ისმაილმა. — მშვენივრად მოგყავდა.

მე გავწითლდი.

— ტყუილად მაქებ!

— არა, ჩემმა მზემ, მშვენივრად მოდიოდი. ახლა ნელა ვატაროთ.

ყარაგიოზს ხელი გაუშვა და გასწორდა. მეც გავსწორდი.

ხელმარცხნივ ვენახები იყო, ვენახების დაბლა — მდინარე, მდინარის იქით — ქედი და ჩამავალი მზე.

ხელმარჯვნივ — საყარაულო გორა, რომელსაც თიფივით უვლიდნენ ნამგალები.

ჩვენს პირდაპირ კი ორი ტყიანი ქედი მისულიყო ერთმანეთთან, მაგრამ იორს არ გაეშვა და ახლა ნაპირ-ნაპირ მიეშურებოდნენ ჩრდილოეთისაკენ.

მივდიოდით და ასე მეგონა — წინ რაღაც დიდი კარი იყო გაღებული და ამ კარში შევდიოდით ზეიმიით.

მივხედე ისმაილს. ისიც სახეგაბადრული, ამაღლებული იჯდა ცხენზე. მომინდა მეტყვა, ეს სადამო ულამაზესი სადამოა-მეთქი ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ ვერ ვთქვი.

მაშინ ყარაგიოზს ამოვკარი ქუსლი.

ყარაგიოზი ყალყზე შედგა, დაიფრუტუნა და გადაეშვა. მაგრამ მოვასწარი და თავი შევიკავე. ეს კი არა, ისევ ამოვკარი ქუსლები.

და ისევ გაიქცნენ შეშინებული ხეები და ბოძები უკან.

ისმაილიც გვერდზე მომყვებოდა და ხმას არ იღებდა. მხოლოდ ეღიმებოდა და შოლტს აუღარუნებდა ჰაერში.

ახლა მე ვყვიროდი:

— ეჭიი!..

და ფრთხვბოდნენ ალვის კენწეროებზე წამომსხდარი ყვავები გზის მახლობლად.

* * *

ნასოფლართან მოვბრუნდით. მზე ქედზე ჯდებოდა და გრილი ნიავი ქროდა.

— მთიდან როდის ჩამოხვალ, ისმაილ?

— ადრე, გამოცდებისათვის.

— ხომ მნახავ?

— შენ ამოდი იქ. წერილს მოგწერ, ან თვითონ ჩამოვალ და...

მე სიამოვნებით შემითრთოლდა გული, მაგრამ...

— თუ გამომიშვს ჩვენებმა...

— მამას ვათხოვნივ.

— რა ვიცი. ყოველშემთხვევაში, შენ მაინც მნახე

ზაფხული და შემოდგომა სხვაა. მაშინ იცი რა დროს გავატარებთ?

ისმაილმა არაფერი არ თქვა. გაეღიმა.

— ამაღამ რომ დარჩეთ? — ისევ დავიწყე მე.

— არა, არ შეიძლება. ცოდონი არიან სხვები.

— ვინ სხვები?

— ამხანაგი მწყემსები. დროზე უნდა შევეშველოთ.

— ეეს!..

ძლივს ავაბით საუბარი და...

სოფლის პირას დედაჩემი გვიხვდება. მამიდაც აქ არის. გაშავებულან და ჩაქუფრულან.

როცა დედა ასეთ სახეზეა — ვაი ხესა და ქვას! მაგრამ ახლა ისმაილი მყავს გვერდით და მხოლოდ შეკითხება:

— ხომ არ გადმოვარდი? ხომ არაფერი იტკინე?

— ვინა!

— თავის დღეში არა მჯდარა ცხენზე, შვილო. — ეუბნება ისმაილს.

— ვინ არა მჯდარა! — მწყინს მე.

ისმაილი კი იცინის.

იცინიან მამა და ჯალილაც, რომლებიც აივანზე გამოსულან და ჩვენ გველიან. დაგვინახვენ და სიყვარულით მოხვევენ ერთმანეთს ხელს. პაპაც, თავისებურად გაისწორებს უღვამს და გრძლად გვლოცავს:

— გაიზარდეთ, შვილებო. ბედნიერი კაცები გამყოფოთ ღმერთმა. ეგრე — ავთანდილ-ტარიელივითა... მერე წავიდნენ...

მე და მამამ გაღმა უბნამდე გავაცილეთ. აქ გადავხვიეთ და ისინი ახლადჩამოწოლილ ბინდს შეერივნენ.

იმ წუთში გულდაწყვეტილი ვიყავი. რა დასამალია — გულდაწყვეტილი ვიყავი. თითქოს ისმაილს ისე კარგად ვერ შევხვდი, როგორც წინათ მიფიქრია. მაგრამ ახლა, ამ ამბავს რომ ვიგონებ, გახარებული ვარ. მეჩვენება, რომ რაღაც კარგი, ნათელი წინა მაქვს, რაღაც ღონე ჩამიდგა ძარღვებში. თითქოს ხე ვიყო, რომელსაც კიდევ ერთი ძლიერი ფესვი გაუტანია და კიდევ უფრო მაგრად ჩასჭიდებია მშობელ დედამიწას.



სიჭაბუკის ზეიმი

მე იმ დღეთა მოლოდინი მამლერებს და მამხნევეებს, ვიცი, ვნახავ თანატოლთა გაბრწყინებულ სახეებს.

ყველას უნდა თქვენი ნახვა, გულის ძვრით მოგვლით ტანმალალი ჭაბუკი თუ პაწაწინა სკოლეი.

მტრედებს, თქვენკენ მოფრენილებს, მეგობრობას ვაბარებთ, გულით გელით შეგვანიანს, ინდოელს, თუ ალბანელს.

თქვენთან გვინდა გაქროლება, დაგატარებთ ყველგანა, ნახეთ ჩვენი საბჭოეთი, ბედნიერი ქვეყანა.

ნახეთ ჩვენი მიწის ხვაი, ცისარტყელა შეიდფერა, სიმღერა რომ არ იცოდეთ, მოგინდებათ სიმღერა.

შორი გზიდან მომავალებს გხვდებით ხელგაშლილები, — საბჭოეთის გამოზრდილნი, საბჭოეთის შვილები.

რახანია ჩვენს მამულში თქვენი ხილვა გვინდოდა, ვაგუგუნოთ კილით-კიდე ძმობა, ნდობა, მშვიდობა!

გურამ კლიაშვილი

— ბაბუა ახმედ, აი, იმ ადგილას, სადაც ახლა სკოლაა, წინათ რა იყო?

— სად, შვილო, აბა კარგად შევხედო! არ გამამტყუნო, მოვხუცდი, უკვე ოთხმოცდათორმეტი წლისა ვარ, ცოტა თვალსაც დამაკლდა... გეტყვით, შვილო, ყველაფერს გეტყვით, ბათუმიდან აქ მოსულხართ ჩვენი სოფლის გასაცნობად, ყველაფერი გაინტერესებთ, ასეც უნდა იყოს, მომავალი თქვენია, შვილებო.

მოხუცმა ბავშვები მსალობზე წამომდგარი ორსართულიანი შენობის აივანზე აიყვანა. აივნიდან მთელი სოფელი ხელისგულზე იშლებოდა. მეორე რაზმელებმა ბაბუა ახმედისაგან სოფელ ურეხის წარსულზე იმ დღის ბევრი რამე გაიგეს. გაიცნეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე პიონერ-მოსწავლეები, რომლებსაც კოლმეურნეობაში 100-ზე მეტი შრომადღე ჰქონდათ გამოიმუშავებული; დაათვალიერეს კოლმეურნეობის პლანტაციები, ბოსტნები, მცეცხველეობის ფერმა; ყურადღებით მოისმინეს კოლმეურნეთა საუბარი. განზრახულ შეკრებაზე ურეხელი პიონერები და კოლმეურნეები რომ მიიწვიეს, არც ბაბუა ახმედი დავიწყებიათ. მერე კი ბათუმი-საკენ გაუღდნენ გზას.

ერო რაზმის ცხოვრებლან

ნ ა რ კ ვ ი ვ ი

სკოლაში გამოცოცხლება, მეორე რაზმელები შეკრებისათვის ემზადებიან. შედეგად ლომთათიქე დიდ ალბომს დასტრიალებს, სურათებს აგროვებს. მათი რგოლი ხომ სოციალისტური სოფლის ამსახველ ალბომს ამზადებს. ფოტოსურათებში თვით მეორე რაზმელ პიონერებსაც შეხედებით — ურეხში ყოფნისას ფოტომოყვართლებს სურათების გადაღებაც მოუტსწრიათ. აგერ ფერმაში მომუშავე გოგი ბოკერია, ურეხელ პიონერებთან ჩამდგარი მადონა მგელაძე...

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მეორე რაზმელებმა გადაწყვი-

ტეს ჩაეტარებინათ შეკრება თემისაზე: „სოციალისტური სოფელი“ ნუნუ ხელმძღვანელთან რჩევისათვის მისულმა მეორე რაზმელებმა მოიფიქრეს შეკრებისათვის სოფელ ურეხის კოლმეურნეობა შეესწავლათ და შეკრებაც თვით ამ სოფელში ჩაეტარებინათ. მეგობრებმა ცოტა როდი იმორჩილეს ურეხში; სადა არ იყვნენ, სოფლის ერთი კუნძულიც არ დაუტოვებიათ, ბევრი რამე გაიგეს, ბევრი რამე ნახეს. აღრევებ ჰქონდათ გადაწყვეტილი რომ გახეთქილან, წიგნიდან არცერთი სიტყვა არ გადმოეწერათ, თვითონვე შეეგროვებინათ ცოცხალი ფაქტები.

* * *

გათენდა სანატრელი კვირა დღეც. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის გეგინჯარაძის სახელობის რაზმელების მეორე რაზმი სოფელ ურეხისაკენ გაემართა. სოფლის თავმოყვი გაისმინა პიონერული საყვირის ხმა, რომელიც ურეხელ პიონერებს და მიწვეულ კოლმეურნეებს ბათუმიდან ჩამოსულ პიონერთა შეკრებაზე უხმობდა.

სოფელი გამოცოცხლდა, კვირადღე უფრო ხალისიანი გახდა; ურეხელი პიონერები სტუმრებს შეუგზახე შეეგებნენ. სადა არ ნახავდით ამ დღეს ბათუმელ პიონერებს: ფერმაში, პლანტაციებში, ურეხის სკოლაში, სპორტულ მოედანზე. ისინი მხოლოდ მნახველები როდი იყვნენ, — თვითონაც საქმიანობდნენ.

სალამოს სტუმრები და მასპინძლები ერთად შეიკრიბნენ, კიდევ ბევრი რამე გაუზიარეს ერთმანეთს. მეორე რაზმელებმა საკუთარი თვითშემოქმედებაც უჩვენეს ურეხელებს. ბათუმში თავიანთ მშობლიურ სკოლაში მიიბატიყეს და საჩუქრები გადასცეს ყველას, ვისაც კი შეკრების მომზადებაში წვლილი მიუძღოდა.

ასე დაიწყო მეორე რაზმელების მეგობრობა სოფელ ურეხის პიონერებთან და კოლმეურნეებთან.

☆

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მადონა მგელაძე, გოგი ბოკერია და მგელა ლომთათიქე ემზადებიან შეკრებისათვის: „სოციალისტური სოფელი“.

☆



სალამოს ბათუმისაკენ გაბრუნებული პიონერები ერთმანეთს არ აცდიდნენ შთაბეჭდილებების გაზიარებას. როდესაც ყველაფერს თვალი გადაავლეს, ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ ასეთი საინტერესო შეკრება დიდი ხან არა გვექონიაო.

— თქვენ, ამას წინათ ჩატარებულ შეკრებაზეც ასე ამბობდით, — ლილილით გაახსენა ნუნუ არომიძემ პატარებს.



— თინკო, ასე კი არა, აი ასე უნდა შეაბრუნო ბარი. ორმო აი, აქ ამოიღე, ძალიან ღრმად არა, აი ასე... — უჩვენა მედეამ. — შენ კი, ვახტანგ, აბა როგორ აყრი მიწას, ასე გასწავლა მადონამ? ვახტანგიც მამინვე დაემოწაილა მედეას განკარგულებას.

მეორერაზმელი „ყვავილების მეგობრები“ — მედეა ლომთათიძე, მადონა მგელაძე და გოგი ბოკერია პატარებს მცენარეთა მოვლას ასწავლიან. მეორე რაზმმა ხომ მერვე რაზმის ასალშილებულ პიონერებზე აიღო შეფობა. პატარებმა ჯერ ბევრი რამ არ იციან, უფროსების დარიგება მათთვის სასარგებლოა. რა უნდა გააკეთონ მეორე რაზმში, რომ უმცროს მეგობრებს არ გაუზიარონ. შეფები პატარებს შინ ეწვევიან ხოლმე, ამოწმებენ მათ სამუშაო კუთხესა და დღის რეჟიმს. ზოგიერთ აკადემიურად ჩამორჩენილს გაკვეთილების დამზადებაშიაც ეხმარებიან. სასკოლო ფესტივალისათვის მზადება ხომ პატარებთან ერთად დაიწყეს. ფესტივალზე პატარები მეორერაზმელების დახმარებით შეკერილი საკარნავალო კოსტუმებით გამოცხადდნენ და პიესა „წითელქუდა“ წარმოადგინეს.



პატარებს გულით ეყვარათ თავიანთი შეფები. აბა, როგორ არ უყვარდეთ, როდესაც მეორერაზმელებმა ისე გაუტოლეს თავი, რომ ჭრაკერვასაც მათთან ერთად სწავლობდნენ. ახლაც ერთად სხედან და



პიონერთა ოთახის ბუნებისმოყვარულთა კუთხეში ხშირად ნახავთ მეყვავილებს — მიხეილ კვაჭაძეს, ნანული ვახტანგაძეს და ნანა ძიმიტარაშვილს.



გულისყურით ისმენენ ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-ქალის მერი გუგულაძის დარიგებას:

— მანანა, როდესაც ღილის დაკერებას დაამთავრებ, იგივე ძაფი რამდენჯერმე შემოახვეი ღილქვეშ, შემდეგ ნემსი ტანსაცმელს შეგნით

გაუყარე; განასკვი, და ძაფს ზედნეტი ნაწილი მოაჭერი.

დეიდა მერის დარიგებას მანანა ყურადღებით ისმენს, წარბის შეკრუხუნით ხელახლა უყრის ძაფს ნემსში და ღილის დაკერებას იწყებს.

— მედეა, შენც კარგად დაუკვირდი. აბა, შეხედე, თარგი როგორ არის გამოჭრილი, შენ კი როგორ ჩავიჭრია...

ბავშვები ჩუმად ისმენენ უფროსის რჩევას.

— დეიდა მერი, რა ვქნა, სულ მაკიწყდება. წელან კი მასწავლეთ, მსგავს კიდევ მითხარით. თხელ ქსოვილზე აი, ეს ღილი როგორ დავაკვირო, მჭიდროდ თუ ხალვათად?

დეიდა მერიც დაუზარელად უხსენის. პირველად თვითონ უჩვენებს:

— ღილი მჭიდროდ დააკერე, თანაც შიგნიდან თხელი ქსოვილის ნაჭრის დადება არ დაგავიწყდეს, სიმტკიცისათვის არის საჭირო.

გულმოდგინედ აღგენენ პიონერე-


ბი ნახაზებს. ჭრიან თარგებს. უხარიათ, რომ ამ საჭირო საქმეს მალე დაეუფლებიან და მადლიერებით ახსოვთ, რომ ამ საქმეშიც მეორერაზმელებმა გამოიჩინეს აქტივობა: ერთხელ მე-2 სკოლის რაზმეულმა სამკერვალო ფაბრიკაში მოაწყო ექსკურსია. ფაბრიკა რომ დაათვალიერეს, მეორერაზმელებმა მუშებს გულით სთხოვეს დახმარება. უნდოდათ თავადაც ესწავლათ ჭრაკერვა. ფაბრიკის კომკავშირელმა გოგონებმა მალე გაახარეს მეორერაზმელები, სკოლაში ჭრაკერვის ორი წრე დააარსეს.

ახლა უფრო ხშირად სვდებიან ფაბრიკის მუშები თავიანთ შეფებს. მეორერაზმელებმა იციან, რომ ზოგი მათგანი დაუსწრებლად უმადლეს სასწავლებელშიც სწავლობს. ამასწინათ, სკოლაში რომ იყვნენ მიწვეულნი, მუშებმა ბევრი რამ საინტერესო უამბეს პიონერებს, უამბეს იმ განცდებსა და ფიქრებზე, იმ დღეებზე, როდესაც პირველად შედეგს ფეხი ფაბრიკაში. გაუზიარეს თავიანთი მომავალი ფიქრები და გეგმები.

— მამ, სწავლა და შრომა ერთად! — ასე შეთანხმდნენ ფაბრიკის კომკავშირელები და პატარა მკერავები.

ნათელა ზაილოძე





კარგული კუბი

ს. იორაბაშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

მ რ თ ხ რ მ ბ ა

თავი მეექვსე

სამუხს რომ მიატანეს ნავებმა, უკვე აგვისტო დადგა. პირველ აგვისტოდან კი მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნადირობის სეზონი გაიხსნა. იმ მიდამოებში მაინცდამაინც არ ეტანებიან ნადირობას და ისიც მწყურზე ხომ აზერბაიჯანელი ვაზნას არ დახარჯავს. მაგრამ მტკვრის ორივე ნაპირზე აქა-იქ მაინც გაიხმა სანადირო თოფების კანტი-კუნტი სროლა. ცოტაც და, ნავები მანგეჩაურის ზღვაში შეტურდნენ.

შევიდნენ თუ არა ნავები მინგეჩაურის ზღვაში, ისე შეეძებნენ „აზთეზის“ სამმართველოს ინსპექტორები, თითქოს სპეციალურად ელოდნენ. თუმცა არც უიმისო იყო — თბილისიდან ბაქოში გაგზავნილ დეპუტატს თავისი საქმე უკვე გაეკეთებინა. როდესაც გაიგეს ინსპექტორებმა, რომ ეს სწორედ ის ექსპედიცია იყო, რომლის შესახებაც ბაქოდან იტყობინებოდნენ, უმალ იკითხეს, რით შეეძლოთ დახმარებოდნენ „გაურჯი იოლდაშებს“.

— ჯერჯერობით, მეგობრებო, ერთი კარგი, მოხერხებული ადგალი შეგვარჩევინეთ, კარგები დაედატო და იქ მოვილაპარაკოთ, — უპასუხა მათ გვიგამი, რადგან უზერხულად ერგვნა მათინვე ის ეთქვა: გამოქცეულ კაცს დავეძებთ და დავგვხმარებთ მის დაქვრასო. მით უმეტეს, აზერბაიჯანშიც, ისევე როგორც საქართველოში, დევნილი კაცის დაბეზღება და მისი მდევრისათვის გადაცემა ძველთაგანვე გვარიან სამარცხვინო საქმედ ითვლება. ამიტომ გადაწყვიტა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჯერ კარგები დაედატო, თავის კარავში მასპინძლის უფლება მოეპოვებინა, გული გაეხსნათ ერთმანეთისათვის და მერე ეთქვა რაშიც იყო საქმე.

მართლაც, როდესაც მიქვებმა ჩრდილითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფილ ადგილზე კარგები გაშალეს და მთელი კვირის ნამგზავრებმა წესრიგში მოიყვანეს თავიანთი ტანისამოსი, ნამდვილ მასპინძლებად იგრძნეს თავი. ქართულმა ღვინომ მალე გაუხსნა გუ-

ნება აზერბაიჯანელ სტუმრებს და ალაპარაკა ისინი. ხოლო, როდესაც გვიგამი ფეიქრიშვილზე ჩამოუდგო ლაპარაკი და აუწერა მისი გარეგნობა, ორივე ინსპექტორმა მაშინვე დაადასტურა: სწორედ აგეთი კაცი მართლაც დაცურავდა ათიოდე დღის წინათ მოტორიანი ნავით და პატარა ბიჭით ამ ზღვაში, მაგრამ იმას შგონი მიხეილი არ ერქვა, ვალიყო მქვიან, ასე გაგვაცნო თავიო. კარგ ადამიანსა ჰგავდა, ისიც გაგვიმასპინძლდა, ცოტადენი თუთუნს და შაქარიც მოგვცა და მერე აღარ ვიცით საით წავიდაო.

ცხადი იყო, როგორც ისინი აღწერდნენ, ფეიქრიშვილი უნდა ყოფილიყო მათთან ათიოდე დღის წინათ. სახელის გამოცვლა კი არც გაჭვირვებია გვიგის, რადგან ეს, გასაგებიც იყო, ყოველმხრივ მალავდა თავის ვინაობას.

— ლაპარაკში ხომ არ შეგიტყვიათ, საით აპირებდა იგი წასვლას? — შეეკითხა გვიგი.

— წასვლის შესახებ არაფერი უთქვამს. როგორც ჩანდა აქ დიდი ხნით ჩამოვიდა სათევზაოდ, მაგრამ, რადგან ჩვენ იმის პირობა ვერ მივეცი, რომ სისტემატურად ვათევზავებდით, ქურდულად აღარ მოგვძალდება. ჩანს სხვაგან გადაინაცვლა. ისე კი, ერთი რამდენჯერმე ჩვენც თვალი ავარიდეთ, ვითომცდა ვერა ვხედავდით. ცოტადენი თევზი დაიჭირა, მაგრამ, რაკი შეგატყუო, რომ უზერხულ მდგომარეობაში ვიყავით, მოგვერიდა.

ინსპექტორები წავიდნენ და ფეიქრიშვილის კვალი საიდუმლოებით მოცული დარჩა. აღარ იცოდნენ საით ეძებნათ იგი, მაგრამ ყველაზე ბნელით მოცული საიდუმლო საქმეებიც კი ხშირად უმინი შეგნელო წვრილმანებით გახსნილა ხოლმე. ახლაც სწორედ ასე მოხდა.

თურმე, სამუხსი რომ ჩამოსულიყო ფეიქრიშვილი, მასაც იმ ადგილებში დაედატო თავისი კარავი, სადაც ამჟამად მისი მამებრების კარგები იდგა. ხოლო იქვე მასობლივად კოლმეურნეობის ერთი ბებერი მებაღის ლერწმის ქობიც იდგა და გამოკითხვის შემდეგ მან საინტერესო მასალა მიაწოდა ექსპედიციას.

მოსუცი საკმაოდ ფლობდა რუსულ ენას და თავისუფლად უამბო, თუ როდის მოვიდა „გაურჯი მენავი“, როდის წავიდა და თა-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 4, 5.



ნაც ის დაყოლა: კარავი რომ დაშალა გურჯმა და წავიდა, ერთი დავთარი დარჩა აქ, რომელიც წინა დღეს დასველებოდათ და გასაშრობად ეკანის ფოთლებზე დადო ბავშვმაო.

ყველა დაინტერესდა ამ ამბით და მოხუცს დავთარი გამოატანინეს ქობიდან.

აღბათ თავისი ანგარიშები აქვს ჩაწერილი — ვის რა მიჰყავდა, ვის რა მართებდა მისი. ხომ იცით, ყველაფერს ვერ დაიმახსოვრებს კაცი და ვინ იცის როგორ სჭირდება ახლო, — ამ სიტყვებით გადასცა მებადემ ჩვეულებრივი ცალხაზიანი რვეული გიგის. რვეულს გარეკანზე წითელი ლანჩრით ეწერა მსხვილი ასოებით — „ვახტანგის დღიური“. ქიმიური ფანქრით დაწერილი ტექსტი დასველების გამო დადღაბნილიყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა გარკვეული ხელით კობტად გამოყვანილი ასოების წაკითხვა.

გიგის ისე გაუხარდა იმ რვეულის პოვნა, თითქოს მისი პატრონები ეპოვნოს. ვახტანგის კლასიკებმა იცნეს თავიანთი ამხანაგის ხელი და ყველას ერთი სული ჰქონდა, სახამ ბოლომდე მოისმენდა იმ წულისაგან დადღაბნილ ჩანაწერებს.

* * *

დღიური ასე იწყებოდა: „დღიურ ხანა დაგვეკარგა დღეების სახელწოდება და თვის რიცხვებიც. მაგრამ ამ დღიურ მამაჩემმა სადღურზე გაცილა მირიანი და იქ გავიგო — დღეს 10 ივლისი ყოფილა. კარგი ბიჭი იყო მირიანი. მამაჩემს ძალიან მოსწონდა — ჯანმრთელი და ჭკვიანი ყმაწვილიაო. მეც ვეთანხმები, მაგრამ ცოტას კი ყოყორობდა. ყოველთვის ცდილობდა მამაჩემისათვის ეჩვენებინა, რომ მე სუსტი ვიყავი, ის კი ღონიერი!“

ეს ადგილი რომ ამოიკითხა გიგამ, შეჩერდა. ყველამ თვალი მირიანს მიაპყრო, რომელიც ყურებამდე გაწითლებულიყო და აღარ იცოდა რითი ემართლებინა თავი. მაგრამ მირიანისათვის პასუხი არავის მოუთხოვია, რადგან თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ ასეთი რამ ხშირად ემართება ხოლმე კუნთებძლიერ ადამიანს სუსტთან, და ისევე განაგრძეს კითხვა:

„...მიგდვიარო ქვევით, არსად არ ვჩერდებით. თავს გარეული მტრელების გუნდი დაგვტრიალებს. მამაჩემმა თქვა, ქედნები რომ გვაცილებენ, ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ კარგი ნიშანია — მშვიდობიანი მგზავრობა გვექნებაო. ვნახოთ! მტკვარი თანდათან მდორდება, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება თითქოს აღმართში მიედინებოდეს; ნავის მართვაც უფრო ადვილი ხდება და უფრო ხშირად მე ვსივარ საჭესთან...“

„...12 ივლისი. წუხელ კარავი სადღურ კოვლიარის გადმოსწვრივ გვიდგა. მამამ თქვა, ქართული სახელწოდებაა კოვლიარიო. ჩვენი წინაპრების საყვარელი სანადირო ადგილი ყოფილა და ქებით უთქვამთ: „ყოველი არისო“. მართლაც ყოველი სიკეთით არის შემკული კოვლიარი, და ჩამოთვალა მამამ, თუ რითაა მდღარი ეს ადგილები: კაცით, ხოხობით, დურაჯით, გნოლით, იხვით, ბატით, სავათით, სარსარაკით, კურდღლით, მელით, შვლით, ჯვირნით, ირმით, გარეული ღორით... ყოწინ თვით აწერბაიჯანელებიც ყოვლიანს ეძახდნენ ამ ადგილებს, მაგრამ რუსულად გამოთქმის დროს „ყ“ „კ“-თ გადაკეთდა და სიტყვამაც ქართული იერი დაჰკარგაო. არ ვიცო, შეიძლება მართლაც ასე იყოს...“

„...13 ივლისი. შამხორის გადმოსწვრივ ჩამოვედით. პატარა მდინარე ჩამოდის და მარჯვნიდან მტკვარს უერთდება. მდინარეს ადგილობრივი მცხოვრებნი შამხორ-ჩაის ეძახიან — შამხორის წყალიო. მამაჩემს აქ ცოტა უსიამოვნება შეემთხვა. ვილაც ვნაღლაგარდებს ერთი კასრი ქლორი მოგვანათ შამხორ-ჩაის შესართავის მოსაწამლად, თევზის დაჭერის მიზნით. რომ შეატყო რასაც აპირებდნენ, მამა ძალიან აღშფოთდა, ნავი ნაპირს მიაყენა და სასტიკად აუკრძალა იმ ბარბაროსული ხერხით თევზაობა.

ახლაგარდებმა ჯერ ყურადღება არ მიაქციეს და ავლებულად დაუწყეს ლაპარაკი, მაგრამ როდესაც მამამ სანადირო თოფს წამოაგდო ხელი და დაეშუქა, შეშინდნენ, თავიანთ განზრახვაზე ხელი აიღეს; მამას ლანძღვა-გინება დაუწყეს, მანქანის ნომერს ბრუნდნენ ჩამოფარებს, არ ჩაიწეროსო, და სასწრაფოდ მოკურცხლეს. ასე ყოფილა თურმე, ბოროტმოქმედ კაცს ვაჟაკობა ბოლომდე არ მისდევს, მშობარაა. აბა, მამ, რატომ უნდა შეშინებოდა მამაჩემისა ექვს კაცზე!“

თითხმეტი და თხუთმეტი ივლისის ჩანაწერებიდან არაფრის ამო-

კითხვა აღარ შეიძლებოდა, მარტო მთლიანი მელნის ლაქა იყო ულის მთელ გვერდზე. შემდეგ დიდი წვალებით ამოიკითხეს:

„...16 ივლისი. სამუხში ჩამოვედით, საიდანაც იწყება მინგეაურის ზღვა. როგორც იქნა, შედარებით დიდი ხნით დადგით კარავი, ჩვენს მეზობლად კოლმეურნეობის მოხუცი მებაღის — ალის ქონი დგას. სასამთროები ჯერ კარგად არ არის მის ბაღში შემოსული, ნესვებს კი რამდენსაც მოვიწოდებთ მე და მამა, იმდენს გვიზიდავს ალი. სამაგიეროდ მამა მას არყით უმასპინძლებდა.“

„...17 ივლისი. დილით მამამ „აუთევზის“ ინსპექტორები მოიყვანა ჩვენს კარავში. პური ქამეს და ერთი ბოთლი არაყი გამოცალეს, რის გამოც ინსპექტორები კარგა გვარიანად შეთვრნენ, მამას კი არაფერი არ ეტყობოდა. ინსპექტორები რომ გაისტუმრა, მერე მებაღე ალი მოვიდა ჩვენს კარავში და მამას შეეხვეწა: „გარეული ღორები შემომჩვენე ბოსტანში და მიშველე რამე შენი თოფით, თორემ სულ გამოჩანაგეს ნათესიო. მამა დათანხმდა.“

„...18 ივლისი. წუხელ, მე რომ კარავში დავექეი დასაძინებლად, მამამ წელზე სავაზნე შემოიკრა, თოფი გადაიკიდა მხარზე და ალისთან წავიდა. ამ დღიურ რომ გამომეღვიძა, ერთი გარეული ბურვაკი ეგლო ჩვენი კარავის წინ. მამას იგი ალის ბაღში მოეკლა. ოღონდ არ მაქამა — მართალია ბურვაკია, მაგრამ მაინც ფიცხი საქმელია ზაფხულში და კუჭს აგიშლისო. მარტო გულ-ღვიძლის მწვალები შეწვა და ის ვჭამეთ. ხორცი კი მეთევზეთა ბრივადას მიჰყავდა.

აქვე ახლოს ყოფილა თურმე ქალაქი კირვანბადი. მამამ მისი ძველი სახელწოდების შესახებაც მოთხრა: განჯა კი არა, განძა ერქვა, ასეა ძველ წყაროებში მოხსენებული — ქართული სახელიაო. არ ვიცო, შეიძლება ესეც მართალი იყოს...“

„...19 ივლისი. მამამ მოთხრა დღეს უკანასკნელად ვითევზავებ აქ და შენც წამომყვები, მიშველეო. წაყვები. თევზაობის დროს ისიც მოთხრა, ხვალ კარავი უნდა ავშალოო და ალაზნის ხეობას ავყვეთ. თორემ აქ რაღაც ვერ ვისვენებო. ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.“

* * *

აქა შთავრდებოდა რვეულში ჩანაწერები. გიგამ რვეული დაკეცა და ბიჭებს მიმართა: კვალს უკვე მივაგენი ყმაწვილებო! ახლა ჩვენზეა საქმე დამოკიდებული და, თუ დროს აღარ დავკარგავთ, ძალიან კარგი იქნებაო.

ხუთ აგვისტოს ივრის შესართავი მარცხნივ მოიტოვეს და გეზი ალაზნისკენ აიღეს. შესართავთან რომ მივიდნენ, იქ ცოტა შეისვენეს და ისაუშუმეს.

მაღე შტორები ამუშავეს და ნავები ალაზნის კალაპოტში შეატყურეს. ბიჭებმა აღარ იცოდნენ რომელ მხარეს უფრო მეტი ყურადღება მიექციათ. ნავების მარჯვნივ კავკასიონის მთაგრეხილის დიდებული სანახაობა იშლებოდა, ხოლო უფრო ახლოს, მარჯვნივ, იწყებოდა საინგილო თავისი ნასყიდობები, ნაქონარობითა და მიწიწყებული მარნებით. მარცხნივ კი ელდარის ჩამოფრქეული პატარ-პატარა გორაკები და გორაკებზე დაწივებული, გვალვის გამძლე ქონდარა ფიჭვები. ალაზნის ორივე მხარეს შიგადაშიგ ჩამოშვებული ტიტველა გორაკები შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს კეთილმოწყობილი ქალაქის მრავალსართულიანი სასახლეებიაო. მიუახლოვდებოდნენ ნავები და მხოლოდ გამოფიტულ ქანებში გამოჩინოი ქარსი და თავგმარილა ბრჭყვიანდა მზის სხივებზე.

— აი, ქოფოიოლი — წამოიძახებდა ხოლმე თავის ენაზე ქარსით მოტყუებული შასანა და კრეჭავდა თეთრ ქბილებს.

ექსპედიცია ისევე ორად გაიყო ორივე ნაპირების მოსაჩხრეკად. მაგრამ გადაიოდა დღეები და ფეიქრიშვილების ასავალ-დასავალი არა ჩანდა.

ალაზნის, იმ მხარეში, სადაც ექსპედიციას უხდებოდა მოგზაურობა, აურაცხელი დიდი და პატარა შენაკადი უერთდება მარცხნიდან. სულ პირველი და ყველაზე დიდი შენაკადი, რომელიც ნავებს შეხვდა, ეს იყო აგრი-ჩაი, შემდეგ ამას მოჰყვა ჭურმუხ-ჩაი, ყურა-ჩაი, კატხ-ჩაი და ბელაქან-ჩაი. ნავების წამყვანებიც და საინგილოს მხარეზე მიმავალი ჯგუფიც გაფრთხილებული იყვნენ, როდესაც რომელიმე შენაკადი უხვდებოდათ, უნდა შეჩერებულიყვნენ იქ და ელდარის მხარეზე საძებნელად წასული ჯგუფი მიეხმოთ. იქ უნდა გაეთითათ ღამე, ეთათბირათ, დაესვენათ და საკვების მარაგიც შეევსოთ.

რუკაზე აღნიშნული მდინარეები რომ შეხვდებოდათ ხოლმე და ადგილობრივი მცხოვრებლებიც დაადასტურებდნენ, რომ სწორედ ის სახელი ერქვა იმ მდინარეს, ისე უნაროდათ ბიჭებს, თითქოს



მოხუცმა მწყემსმა იგივე გაიმეორა: რა ვიცი, შვილო, საით წავიდნენ წყალს კვალი არ აჩნდება და ხმელეთზე მენავეს აბა რა ესაქმება, რომ ამოვიდესო.

წყნარ ოკეანეში სრულიად უცნობი მატერიკი აღმოჩნით ველური ტომებით დასახლებული, და ყველა ცალ-ცალკე იწერდა უბის წიგნაკში, მიუხედავად იმისა, რომ რუკაზეც საკმაოდ გარკვევით ეწერა მდინარის სახელწოდება.

ერთხელ, საღამოს, ნავებთან რომ მოგროვდნენ ღამის გასათვად, ელდარის მხარეზე წასულმა ჯგუფმა საინტერესო ამბავი მოიტანა: აქ ისინი მეძროხეებს შეხვედროდნენ, რომლებსაც თურმე თევზი ეყიდანათ უცნობი მენავისაგან და პური და კარაქი მიეცათ ფულის ნაცვლად მეძროხეებმა გარეგნული აღწერილობითაც მიაგვანეს თურმე ის მე ნავე ფეიქრიშვილს. ამის გამო მეორე დღესვე მთელი ექსპედიცია ალაზნის მარჯვენა მხარეზე გადავიდა მეძროხეებთან. მაგრამ მოხუცმა მწყემსმა იგივე გაიმეორა, რაც წინა დღით ავთანდილის ჯგუფს უთხრა: რა ვიცი შვილო, საით წავიდნენ? წყალს კვალი არ აჩნდება და ხმელეთზე მენავეს აბა რა ესაქმება, რომ ამოვიდესო.

— როდის იყიდეთ, ძია-კაცო, თევზი? რამდენი დღე იქნება მას შემდეგ, ვერ გვეტყვი? — შეეკითხა გიგი.

— რატომ ვერ გეტყვი, შე კაი კაცო, ბარე ერთი კვირა იქნება. თუ კიდევ უფრო სწორად გინდა იცოდეთ, რა დღე იყო, ფერმის გამგეს ჩაწერილი აქვს, მხოლოდ ახლა ის აქ არ არის, სახლში წავიდა და ორ დღეში ჩაშოვა ისევ. რასაც ვყიდულობთ შვილო, და რასაც ვყიდით, ყველაფერს ვიწერთ, ვაფორმებთ. კოლექტივია, შენი კვნი-სამე, „ნარდიბაშობას“ დიდი ხანია დედა მოუკვდა. — უთხრა მრავალნაცადმა მოხუცმა მწყემსმა თავმომწონედ, ვითომდა აი, მინდორში ვართ, მაგრამ აქც წესრიგი გვაქვსო. თან თვალი ჩაუკრა გიგის ეშმაკურად — ხომ ხედავ, ძველი კაცი შევეჩვიე ახალ ცხოვრებას და ის „ნარდიბაშობა“ აღარც მე მომწონსო.

რაკი ფეიქრიშვილების კვალს ვერ ასწავლიდნენ მეძროხეები, უფრო დაწვრილებით გამორკვევა იმისა, თუ რა დღეს იყიდეს თევზი მენავისაგან, მაინცდამაინც აღარ სჭირდებოდა გიგის. იგი დარწმუნდა, რომ ტყუილად არ წამოსულიყვნენ ალაზნის ხეობაში საძებნელად; რომ ერთი კვირის წინ ნამდვილად ფეიქრიშვილი ყოფილიყო მეძროხეებთან. ხოლო საით წავიდა, ან სად იმყოფებოდა იმუამად, ეს ჯერ კიდევ ამოუხსნელი ამოცანა იყო ექსპედიციისათვის.

* * *

ავგისტო მიიწურა. უკვე სწავლის დაწყების დღეებმა მოატანეს და ფეიქრიშვილების ძებნის გაგრძელება უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩატარებული მუშაობის შესახებ ექსპედიციამ მხოლოდ სამუხიდან აცნობა თბილისს. ატკობინებდნენ: ფეიქრიშვილის კვალმა ახლა ალაზნის ხეობისაკენ წაგვიყვანა, ჩვენც მივდევთ, დანარჩენს იქიდან გაცნობებთო. და პასუხისათვის აღარ მოუცდიათ სამუხში. ამის მეტი ცნობები ექსპედიციას აღარც გაუგზავნია და არც პასუხი მიუღია. აღარ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ: განეგრძოთ ძებნა, თუ დაბრუნებულიყვნენ თბილისში. ამ საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ მათ არ შეეძლოთ. ცოტადიანი ფიქრის შემდეგ, უახლოეს რაიონულ ცენტრში — წითელწყაროში წავიდა გიგი და თან ზურა ჯაბაური წაიყვანა.

ელდარის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობამდე ფეხით მოუხდათ სიარული. ისინი ერთ პატარა მლაშე მდინარეს აპყვნენ, რომლის ნაპირებზე აუარებელი კაკბის გუნდები უფრინდებოდათ. მაგრამ მათ სანადიროდ არ ეცალათ. მეურნეობიდან საბარგო მანქანას გაპყვნენ და ორიოდ საათის შემდეგ წითელწყაროში ამოპყვეს თავი, საიდანაც სასწრაფო დეპეშა გაგზავნეს თბილისში, რომელშიც ეკითხებოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. საღამოს მართლაც მოკლე და გარკვეული პასუხი მოუვიდათ თბილისიდან. წინადადებას იძლეოდნენ: დაუყოვნებლივ მიეტოვებინა ექსპედიციას ფეიქრიშვილების ძებნა, ნავები და ისეთი ნივთები, რომლის წამოღებასაც ვერ შეძლებდნენ, რომელიმე კოლმეურნეობისათვის მიეზარებინათ და თვითონ სასწრაფოდ მატარებლით დაბრუნებულიყვნენ თბილისში. თან სწერდნენ, თბილისში თქვენი ჩამოსვლის დღე გვაცნობეთო.

მართალია, მიზანს ვერ მიადწიეს ბიჭებმა — ვისაც ეძებდნენ ვერ იპოვეს და, ცოტა არ იყოს, ეს რჩებოდათ გულში ხიზვად, მაგრამ მათი სახეები აშკარად ამუღანებდა, რომ ძალიან მოეწონათ საპასუხოდ გამოგზავნილი დეპეშის შინაარსი, რომლის ძალითაც სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყვნენ თბილისში. მათ პირველად იზიდავდა კარგებში ღამის თევა და მორიგეობა, ზადის გაშლა, ნავებით სრიალი. პირველ კვირასვე რომ უბოვნათ ფეიქრიშვილი, ძალიან უკმაყოფილონიც დარჩებოდნენ, მაგრამ ახლა, როცა ასე გაგრძელდა და განმეღდა მოგზაურობა, ისე მიმზიდველად აღარ ეჩვენებოდათ უღა-

ბურ და ხშირად უკაცრიელ ადგილებში ხეტიალი და უშედეგო ძებნა. გატაცება, რომლითაც ისე იყვნენ აღტკინებული, თანდათან განელდა.

მაგრამ გიგი-ხელმძღვანელი მაინც არ იყო უკმაყოფილო. მოუხედავად ამ გადაღლისა და მოქანცულობისა, ბიჭებს ერთხელაც არ დაუჩივლიათ და ყოველთვის უყურებდნენ ასრულებდნენ მის ბრძანებას. სანამ მძებრობებს ნავებსა და საწოლებს მიაბარებდნენ, განგებ სინანული გამოთქვა თავიანთი ხელმოცარული ექსპედიციის შესახებ და ბიჭების გასაგონად წამოიწყა:

— ეშ, წადი ახლა და თბილისში სირცხვილით თავი გამოყავი! რას იტყვიან? მოგეცა ლხენა ჩვენს შესახებ მოლაუბებმა ენები მოიქვიან. მართლაც, რა ფახი-ფუხით წამოვედით? ნამდვილად კი ვერაფერი ვერ გავაკეთეთ.

გიგის სიტყვებმა ბიჭებიც ჩააფიქრა. — თუ გნებავთ, დავჩრეთ და კიდევ ვეძებოთ, ამხანაგო ხელმძღვანელო! — უთხრა გაუბედურად ჯაბაურმა.

მაგრამ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან სულ რამდენიმე დღეში სწავლა იწყებოდა, და ექსპედიცია აგვისტოს ბოლო რიცხვებში თბილისში დაბრუნდა.

არ გამართლდა ვარაუდი. მათთვის არავის დაუცინია. თვით ნამდვილ ყბედებსაც ვერ გაეხედნათ აუგის თქმა. პირიქით, დიდი ამბით შეხვდნენ საღურწე ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელები, მშობლები და იმ დროს თბილისში მყოფი ამხანაგები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი შურის თვალთ შეჭყურებდნენ მწეზე დარუჯულ ბიჭებს, რომელთაც ახლა მართლაც სულ სხვა იერო ედოთ და დამხვდურთა თვალში ხომ ნამდვილი გმირების შარავანდედით იყვნენ მოსიღნი.

სადგურზე ეთერი და გიორგი ჯაბაურიძეებიც გამოუსულიყვნენ მირიანის შესახებ. თან დიდდა ტასოც გამოჰყოლოდათ. ქველა მშობელი ბედნიერად გრძნობდა თავს შვილების მშვიდობით დაბრუნების გამო.

მაღე სექტემბერი დადგა. სწავლა დაიწყო. ერთ ხანს ისევ გაცხარებულინი მსჯელობდნენ უფროსებიცა და უმცროსებიც იმის შესახებ, თუ როგორ დაებრუნებინათ ფიქირიშვილები თავიანთ ადგილზე, და ათანაირ გეგმებს სახავდნენ მათ მოსაძებნად, მაგრამ იმ უშედეგო ექსპედიციის შემდეგ პრაქტიკული გადაწყვეტილება ვერაფერზე ვერ მიიღეს და ასე გადიოდა დრო. ამასობაში შემოღვამა ძალაში შევიდა, აგრილდა, როგორც იცის ხოლმე, გულის გამაწვრილებელი წვიმები აიტტება და მთელი კვირაობით გადაუღებლად წვიმდა, ზაფხულში თუ კარვებში დამის გათევავზე ოცნებობდნენ ბიჭები, ახლა მათ აღარ აინტერესებდათ ასეთ ამინდში ნავებით მტკვარზე სრიალი, მდინარის ნაპირებზე ხეტიალი, და ისინი ახლა სასამთრო ტანისამოსში გამოწყობილნი თავმოწონედ დადიოდნენ დათბუნებულ და გაჩირადლებულ კინო-თეატრებში.

თავი მეშვიდე

ხოლო ამ დროს იქ, შორს, ელდარის სასამთრო სამოგრების აღმოსავლეთით, ალაზნის მარჯვენა კლდოვან ნაპირზე, მდინარე კოტეხის შესართავის გადმოსწვრივ, ერთ ბუნებრივ გამოქვაბულში შეხიზნულიყვნენ მამა-შვილი ფიქირიშვილები და გამოსაშაბურებლად ეწყობოდნენ.

— აქ ცოტადენი ფქვილი თუ მოვიმარაგეთ, ვახტანგ, დანარჩენი ყველაფერი თავზე საყრდია: შეშა, ნადირი, ფრინველი, თევზი. აქვე არიან მეცხვარეები და მძებრობები — ძალიან კეთილი ხალხია, სხვა-სავით კი არ ჩაგაცივდებიან, რატომ ცხოვრობთ აქო. ერთს ვიტყვი, რომ მითევზე ვარ, ამით ვირჩენ თავს-მეტქი, და მაგათაც მეტი არა უნდათ რა, რადგან თვითონაც ცისიმედ უხლებათ ცხოვრება. მე მაგათ თევზს არ მოვაკლებ და ეგენიც იმით გამიმართავენ ხელს, რაც ჩვენ არა გვაქვს.

მართალი იყო მიხეილ ფიქირიშვილი: დასამალავად და თავის შეხანახავად უკეთესი ადგილი აღარ შეიძლებოდა; ჩანგლები უკუღმა რომ გადაეყარათ წყალში, თევზს იჭრდნენ. მტკვარზე ათასი მეტადური დაღის და იქ თევზიც დამფრთხალია, დაშინებული. ალაზანზე კი ისე გათამამებულიყვნენ ლოქები, ისე დამგელბულიყვნენ, განსაკუთრებით ელდარის დაუსახლებელი ადგილების გასწვრივ, რომ დაღობებაც არ იყო საჭირო, დღისითაც თავისუფლად ეტანებოდნენ ჩანგალზე წამოგებულ ბაყაყებს და დღე არ გავდოდა, რომ ოთხი-ხუთი ლოქო არ დაეჭირათ, რასაც თავიანთ ერთადერთ გამსალბ-

ლებს — მწყემსებს ატანდნენ მათთვის საჭირო სანოვავისა და ათას წვრილმანის ანგარიშში.

უპირველესად ყოვლისა, მიხეილმა ცხვრის ტყავისაგან თბილი ქურქები შეაკერინა ბებერ მეცხვარე იავორას თავისთვისაც და ვახტანგისთვისაც. შემდეგ მეცხვარეებს მალაზიიდან ჩექმები და ცოტაოდენი ფქვილი ჩამოატანინა, ასე რომ, თანდათან მოეწყვენენ ზამთრისათვის. გამოქვაბულში ცეცხლის დასანთებლად მიხეილმა ისეთი ბუნხარი გამოთხარა, — კალატოზსაც შეხარბებოდა. ცეცხლს დაანთებდნენ თუ არა, ოღნავი ბოლი არა დგებოდა სადგომში, უმალ ბუნხარში არბოდა.

მაგრამ ვახტანგი მამამისა ყველაზე უფრო იმით გაახარა, რომ ერთხელ კალენდარი, რამდენიმე საერთო რვეული და მხატვრული ლიტერატურა ჩამოატანინა მეცხვარეებს. ახლა აღარაფერი უჭირდა ვახტანგს. რაკი ასეთი მეგობრები გაუჩინა, სადაც უნდა წასულიყო მამა, მართლად დარჩენილი ბიჭი აღარ მოიწყენდა.

მიხეილ ფიქირიშვილი მეთევზის გარდა კარგი მონადირეც იყო, მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფ კაცს მეთევზეობა უფრო სჭირდებოდა. ამიტომ ხანდახან, ხორცი რომ მოენატრებოდათ, მაშინ თუ წავიდოდა სანადიროდ. კაკაბს, ან კურდღელს მოკლავდა და ეს იყო, თორემ სასწრაფოდ ისევ თევზი სჯობდა.

ასე გადიოდა დღეები. ხშირად ახსენდებოდა ხოლმე მიხეილს თბილისში მიტოვებული ბინა, მაგრამ რაკი შეუძლებელი იყო წარსულის დახარუნება, განაგრძობდა თავის ახალ ცხოვრებას ალაზნის პირას. განსაკუთრებით იმით იყო მიხეილი გამხნივებული, რომ ვახტანგი საგრძნობლად გამოჯანმრთელდა.

ვახტანგის გამოჯანმრთელებაზე განსაკუთრებული გავლენა ერთმა ამბავმა იქონია. ერთხელ მიხეილმა ნადირობის დროს გამოქვაბულში დიდი ხნის ჩასახლებული გარეული ფუტკარი ნახა, რომელსაც წლების განმავლობაში იქ საკმაოდ ბევრი თავილი დაეგროვებინა. მიხეილმა იგი, რამდენადაც კი ქურჭელი იყო, თავის ნავზე გადმოიტანა. აი, სწორედ იმ ველურმა თავილი იმოქმედა სასწაულებრივად ბავშვზე.

ვახტანგი ნაიალდარი მოზვერივით კუნტარუმის ხსიათზე მოვიდა. ალაზნის ნაპირიდან გამოქვაბულამდე ორასი მეტრი მაინც იქნებოდა მიხეილ-მოხვეული ბილიკით და იმ აღმართს დღეში სამჯერ-ოთხჯერ მაინც აირბენდა ხოლმე. ამით ეჩვეოდა გული ამტანარობას, კუნთები სირბილს, ბოლოს დალოსაც სრულებით აღარ გრძნობდა ბიჭი და „გარეული კაცი“ ამით ძალიან კმაყოფილი იყო.

* * *

ერთხელ, მიხეილმა ჩვეულებრივ კალენდარს ფურცელი რომ აახია, ახალწლის წინა კვირადღემ შეანათა თვალბეჭი. ამ დღემ ერთხელ კიდევ გაახსენა ის შვიდი და მოხვედრებული დღეები, როდესაც თავის მყუდრო ოჯახში ცხოვრობდა. მიხეილი ამ დღეს თავის გულთაღ მეგობრებთან ერთად სპეციალურ ნადირობას მოაწყობდა ხოლმე. ბევრჯერ მიხეილი კაკებზე სანადიროდ იმავ ელდარშიც წამოსულა, — სადაც ახლა მკვიდრად დასახლებულიყო. გაიხსენა თავისი მონადირე მეგობრები და გულწრფელად შეშურდა მათი ბედი: ახლა ხომ ისინი უეჭველად მოაწყობდნენ სადმე ნადირობას, რომ ნანადირევის სტუმრებთან თავი მოიწონონ. ბედნიერები! ვინ იცის, აღარც ახსოვთ მიხეილ ფიქირიშვილი!

ასეთმა ფიქრებმა გაიტაცა მიხეილი და ამის გამო კარგა ხანს იჯდა გამოქვაბულის წინ დაფიქრებული...

უცებ შორს, ნაცნობ საკაბე ადგილებში თოფის ხმა მოისმა. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. გამოცდილ მონადირეს თვალწინ წარმოუდგა ის სურათი, მონადირეები კაკის გულს რომ წააწყებდნენ ხოლმე, და მონადირეული გატაცებით გული აუფანცქალდა.

რაც იქნება, იქნეს! მეც გავივლი თოფით, რომელიც კვლავინდებურად სამსახურში დამავიანდებო! — წამოიძახა მიხეილმა და გამოქვაბულში შევიდა. იქ ყმაწვილს დაუბარა, ჩემს მოსვლამდე არ მოიწყინო, და გზას გაუდგა. ხეცს, რომელზედაც ელდარის საბჭოთა მეურნეობიდან ალაზნისაყენ მიმავალი სამაქანო გზა ჩამოუდოდა, მიდრიადა მიხეილი, ვაითუ ვინმე შემხვდესო. და მართლაც, გორაკზე რომ ავიდა და იქიდან გადაიხედა, ტირიფებში გაჩერებული, ბრუნვით გადახურული „გაზ-51“ მარკის საბარგო მანქანა შეამჩნია და გულმა ბავაბუგი დაუწყა. ფარულად მიუახლოვდა მანქანას იმ მანძილზე, საიდანაც ნომრის გარჩევას შეესძლებოდა, და ჰოი, საკვირველებავ, ნაცნობი ნომერი, ნაცნობი მანქანა შერჩა ფიქირიშვილს. ვინ

იცის, სად არ უმოგზაურიათ მას და მის მეგობარ მონადირეებს ამ მანქანით. ამ ორი წლის წინათ თვით ამ ელდარის მიდამოებშიც კი იყვნენ. ახლაც, იღვა მანქანა და ელოდებოდა ბედნიერ მონადირეებს, რომლებიც, ტყეობოდა, პატარა გორაკებს გადაღმა გადასულყვენენ და მათი თოფების კანტი-კუნტი სროლის ხმა იქიდან მოისმოდა.

მიხეილს გულისცემამ უმატა. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მისულიყო ამხანაგებთან და გაეგო, თუ როგორ შეხვდნენ თბილისში მის გაქცევას და რას უპირებდნენ, თუ დამალულიყო ისევ და თავისი ცნობისმოყვარეობა ჩაეკლა გულში, რადგან, მართალია, ამხანაგები მას არ გასცემდნენ და მათი არ ეშინოდა, მაგრამ ხომ შეიძლება სადმე წამოეყვანათ, ფეიქრიშვილი ვნახეთო; ამის გამო ისიც სიფრთხილე ამჯობინა. გადაწყვიტა შორიდან შეეთვალა ირგებინა მონადირეები ისე, რომ მათ არ დაენახათ. უნდოდა გაეგო ვინა და ვინ იყვნენ მეგობრებიდან სანადიროდ წამოსულნი. გორაკზე რომ ავიდა და იმ ელდოვან ადგილებს გადახედა, სადაც მონადირეები გაშლილიყვნენ სანადიროდ, იფიქრა: ბუჩქნარში შევალ და იქიდან ყველას დავთვალო-ბოლო, და ასეც მოქცია.

მონადირეები რომ თავიანთ საქმეებით იყვნენ გართულნი, მიხეილი შეუმჩნეველად ბუჩქებში შეიპარა და იქ მართლაც სულ ახლოს გაუარა ყველა მონადირე. შვიდი მონადირიდან მხოლოდ სამი იცნო. დანარჩენი ოთხი მონადირიდან, სამი კაცია და ერთი მოზარდი მას არასოდეს ენახა, და არ ენახა მოგონა, რადგან მათთან გამოჩენა არ შეიძლო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მისი უკმაყოფილება უფრო გაიზარდა, როდესაც მონადირეებმა გეზი გამოქვაბულისაკენ აიღეს. სულ რაღაც ორმოციოდე წუთის ნადირობით ისინი ზიდ წაადგებოდნენ ფეიქრიშვილების „კარ-მიდამოს“, და როგორ მოქცეულიყო აღარ იცოდა. ბოლოს იფიქრა — რაი არ შეიძლო რაიმეით ხელი შეიშალა მონადირეებისათვის — ჯანდაბას, სულ ირთია, მე არ გამოვჩნდები და ბაიშის რას იცნობენ, კარგადაც მყავს ღარიგებულო, — კვალს აუბნევს.

ამით დაიშვიდა მიხეილმა გული და შორიხლო აედიგნა მონადირეთა ჯგუფს. მაგრამ რამდენადაც მონადირეები მის გამოქვაბულს უახლოვდებოდნენ, მიხეილსაც თანდათან სიმშვიდე ეკარგებოდა. გამოქვაბულის თავზე რომ შედგნენ, მონადირეებს თითქმის ჯობრზე, ერთი გუნდს მოწყვეტილი აკაბი აუფრინდათ, რომელიც ძირს, ალაზნისაკენ წავიდა წრიბინით. ამ დროს გავარდა უცნობი მონადირის თოფი, კაკაბი მოხდენილია ჩამოვარდა კლდეზე და გორაკით სწორეთ გამოქვაბულის წინ შეჩერდა.

კაკების ასაღებად მოზარდი მონადირე დაეშვა თავაქვე და მიხეილს შიშით გააცივდა, — გამოქვაბულს იპოვისო. მართლაც, ელოდა ეცა, როდესაც შორიდან დაინახა მისი ვახტანგი ჩასულიყო დაბლა და თავისი ჩვეულებრივი არბინით იყო გართული ალაზნის პირიდან გამოქვაბულისაკენ. ერთი წუთიცა და, განკანკალი თაფის კოლო მონადირის შეხვდა გამოქვაბულის წინ. ისინი ერთ ხანს შედგნენ და ერთმანეთს შეხედეს. შემდეგ ორივე ერთმანეთისაკენ გაქანდა... და გადაეხვივნენ.

ეს სურათი მონადირეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. გაკვირვებულნი შეტყუარებდნენ იმ უცნაური მორბენლისა და პატარა მონადირის შეხვედრას. ხოლო მეორის მხრივ მიხეილსაც აღარ იცოდა რა მოხდა, პირდაღებული შესცქეროდა უმოძრაოდ.

ამ დროს მოზარდი შემობრუნდა მონადირეებისაკენ და გახარებულმა შესძახა:

— ჩამოდი, ჩამოდი, ვახტანგ ფეიქრიშვილი ვიპოვე!

თავის გვარისა და შვილის სახელის გაგონებაზე მიხეილი დაიბნა, ერთ ხანს ვაჭტრებული იდგა. მაგრამ, როდესაც ცოტა დაფიქრდა, გადაწყვიტა: სულაც არ გამოვჩნდები მათ წასვლამდე. ხოლო როდესაც ემაწვილის დაძახილზე მონადირეთა მთელი ჯგუფი გამოქვაბულისაკენ დაეშვა ერთსულგვნად, მაშინ კი შეშფოთდა მიხეილი. მიხვდა, რომ სულ სხვა მიზნით წამოსული მონადირეები იყვნენ. რაში აინტერესებდათ მონადირეებს ვიღაც ვახტანგ ფეიქრიშვილი? ისინი ნამდვილად მიხეილის მდევრები იყვნენ და აი, იგი ბოლოს მაინც ორივე ფეხებით გაედა ხავანგში.

მიხეილი გამოქვაბულის მოპირდაპირე კლდეს ამოუფარა, თოფი მოიმარჯვა, ვახტანგს წინ დაილაგა და გადაწყვიტა: თუ ბავშვის

ძალით წაყვანა სცადეს, სანამ ისინი გონს მოვლენ, სუყველას დავალავებ კარტჩეებით.

მაგრამ ძალადობის მაგივრად გამოქვაბულის წინ სულ სხვა სურათი გადაიშალა: მონადირეები ძალიან გულთბილად ართმევდნენ ხელს ვახტანგს. ერთმა მათგანმა მაინც შვილივით გადაჰკიცხა ბიჭი და აღერსიანად უსაყვედურა:

— ბიჭო! არა გრცხვენია, შე უსინდისო, შენა, სკოლა რომ მიტოვე, გამოგვექეცი და ამდენი ხანია თავს გვაძებნებო?

ეს იყო ვახტანგის სკოლის დირექტორი ალექსანდრე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ფეიქრიშვილების საძებნელი ექსპედიციის გასაგზავნად. ახლაც, როცა ექსპედიციის ყოფილმა ხელმძღვანელმა გიგმა გადაწყვიტა მეორე ექსპედიციაში ფეიქრიშვილის ნაცნობი მონადირეები წამოეყვანა, ვითომ სანადიროდ იმ მიდამოებში, სადაც ტოლოვილები ეგულბოდა, სკოლის დირექტორი სიამოვნებით წამოყვანა. მოზარდიც, რომელიც მონადირეთა ჯგუფს ახლდა, ვახტანგის სკოლის მეგობარი, პირველი ექსპედიციის მონაწილე — გატატიშვილი იყო. იგი თავისი მონადირე მამით წამოეყვანა გიგმა ხელმძღვანელს, რომ ბავშვის ცნობაში დახმარებოდა.

წამოსვლისას მირიანის მშობლებისათვისაც მიემართნა გიგმა.

— დამანებეთ ხალხო თავი, რა გინდათ ჩემგან? ვიღაც ფეიქრიშვილებს ხომ არ უნდა გადავყოლოთ ჩემი შვილი, რატომ არ მომეშვებითო — ისეთი ეყვირა ეთერს, რომ ყველანი სასწრაფოდ ჩამოცილებოდნენ.

* * *

მონადირეები ვახტანგთან ერთად გამოქვაბულში შევიდნენ და, ორი საწოლი რომ დახვდათ გაწყობილი, ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

— ხედავთ, როგორ მოწყობილა მიხეილი? — შენიშნა ერთმა მონადირეთაგანმა. — მაგან ყოველთვის ასე იცოდა. სანადიროდ რომ ვყოფილვართ და სადმე ტყეში დამე გავგითვია, უსათუოდ რაღაც მოხერხებულად მოაწყობდა ხოლმე თავის საძინებელს, ისე, რომ ჩვენსაზე უკეთესი ყოფილიყო. მაინც რამ მოაფიქრებინა საწოლების წამოღება.

— რატომ, კაცო! ერთი და ორი დღით ხომ არ არის წამოსული? გაზაფხულს აქეთ მიტოვებული აქვს სახლი და, მაშ, ამდენ ხანს რა უნდა ექნა? — უპასუხა მეორემ.

შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ფეიქრიშვილის შესახებ საუბარი მის მონადირე ამხანაგებს შორის, მაგრამ მათი საუბრის ძაფი ისევ გიგმა გადაწყვიტა და ბუნებრივად სკამივით გამოკვეთილ მიწაზე ვახტანგი გვერდით მოისვა.

— აბა, რას გვეტყვი პატარა ფეიქრიშვილო, თქვენნი მდგომარეობის შესახებ? სად არის ახლა მამა და თუ იცის, რომ მას ახლა აღარავინ აღარ სდევნის.

— მამა სანადიროდ არის წასული, — უნდობლად და მოკლედ უპასუხა ვახტანგმა. მისი გამოხედვა ამბობდა: „ტყუილად ნურაფერს მკითხავთ, სულ ერთია, ვერაფერ პასუხს ვერ მიიღებთო“. მხოლოდ სკოლის დირექტორთან ვედარ შეინარჩუნა ის უკმინო ტონი და მარტო იმას იმეორებდა — მე არაფერი ვიცი, მასწავლებლო, აი, მამა თუ დაბრუნდა, თვითონ იმასა ჰკითხეთო.

მაგრამ მამამისი არ აპირებდა დაბრუნებას. იგი გამოქვაბულის მოპირდაპირე კლდეს ამოვარებდა თოფმომარჯვებული და გასცქეროდა რას იზამდნენ მის ბუნაგში შესული დაუპატეხებელი სტუმრები. ერთი კი გადაწყვეტილი ჰქონდა — მის ბოკერს თუ რამეს ავნებდნენ, ძვირად უნდა დაესვა მათთვის ძალადობა. მაგრამ დრო გადიოდა, გამოქვაბულიდან არა ისმოდა რა და ცნობისმოყვარეობა ახრჩობდა მიხეილს.

იქ კი მართლაც დაწვრილებით აცნობდნენ ვახტანგს, თუ როგორ დაადგინეს მათი მისამართი მონადირეთა კავშირის მეშვეობით, მისი მამის სამსახურის ადგილი, როგორ გაეცნო მირიანის მამა — პროკურორი გიორგი ჯაფარიძე — ფეიქრიშვილის საბრალდებულო საქმეს და როგორ გაიგო, რომ ნამდვილი დამნაშავენი უკვე დასჯილები იყვნენ და ალაღმართალი მიხეილი ტყუილად იმალებოდა.

ბავშვს ყველაფერი ეს ჭკუაში დაუჯდა, რადგან მისი მამის ნამდვილი ამბობიდან იცოდა, რომ ალაღმართალი იყო, გარდა ამისა, თანა სკოლელი მეგობრისა და სკოლის დირექტორის ნამდვილიც სჯერო



მისხილი შეუმჩნევლად ბუჩქებში შეიპარა და იქ მართლაც სულ ახლოს გაუარა ყველა მონადირემ.

და, მაგრამ მამისაგან სასტიკად იყო გაფრთხილებული, რომ მამის მაგივრად, ან მამის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა და ამიტომ ერთსა და იმავეს გაიძახოდა — არაფერი ვიციო!

— ფიქრიშვილო, ყური დამიგდე, — მიმართა უკვე მოთმინებიდან გამოსულმა ალექსანდრემ: — აქ მასხრობა კი ნუ გგონიათ შენ და შენს მამას! გეუბნებით, მოხდა გაუგებრობა და სხვისი დანაშაულისათვის მამაშენი უნდა დაესაჯათ, მაგრამ ეს გაუგებრობა გამოსწორებულია, დამნაშავენი დასჯილნი არიან, მამაშენის საქმენილად ეს მეორე ექსპედიცია მოეწყო. როგორა ფიქრობთ, მეტი საქმე აღარა გვაქვს, რომ თქვენა გდიოთ და დამალოზანა გეთამაშოთ? უნდა იცოდეთ, რომ თქვენს გარდა სხვაც ბევრი საზრუნავი გვაქვს. აი, ახლა შენ ჩვენთან ერთად წამოხვალ თბილისში, აქ კი წერილს დავუტოვებთ მამაშენს და ყველაფერს განვუმარტავთ, რაც შენ გაიმაბეთ. წერილი შენც დაწერე და დაუბარე, — ჩამოვიდეს თბილისში და მოგეპატრონოს, გაიგე? გეყოფათ სუფთა ჰაერზე ნავარდი. ახლა შენ არ წაგიყვანდით, მაგრამ ათასი წერილიც რომ დავუტოვოთ მამაშენს, შენ თუ აქ დარჩი, ჩაგვამს იმ თავის „ხომალდში“ და ისევ სადღაც გადაგვარავს. აღარა გვცალია თქვენს საქმენილად.

— კი, მაგრამ მამა რომ მოვა და აქ არ დავხვდები, გაგიუღბა! — გაიმეორა ერთხელ მირიანის ნათქვამი.

— არაფერსაც არ გაგიუღბა. პირველად შეიძლება შეწუხდეს, მაგრამ წერილებს რომ წაიკითხავს, დამშვიდდება, თბილისში ჩამოვა და მოგეპატრონება. დაწერე, რომ შენი ნებით მოდიხარ თბილისში და ჩვენ ძალა არ დავგიტანებია.

— სულ ერთია, ამას არ დამიჯერებს. რატომ უნდა მოვატყუო მამა, ვეტყვი წამიყვანეს-მეთქი, ასე არა სჯობია?

— შენ რასაც გეუბნებიან ის გააკეთე. „წამიყვანესო“ — იმას

ნიშნავს, რომ ძალით წაგტყვანეთ. მამის ისიც დაფრთხება და აღარ ჩამოგხედავს.

— კი, მაგრამ სანამ მამა ჩამოვიდოდეს თბილისში, მე მართო როგორ უნდა ვიყო?

— შენ მაგის დარდი ნუ გექნება, ამხანაგებსაც ვიპოვნოთ, არ მოგაწყენთ.

— თუ გინდა ჩვენთან წამოდი, თუ გინდა გია გადმოვა და თქვენთან იქნება, სანამ მამაშენი თბილისში ჩამოვიდოდეს. თანახმა ხარ? — უთხრა გია ტატიშვილის მამამ.

ვახტანგმა თავი ჩაღუნა და არაფერი უპასუხა. ეტყობოდა გიას მამის წინადადება მოეწონა.

— შენ ახლა ისევ სკოლაში უნდა იარო, ხომ იცი? რამდენი დრო გაცდინე და როგორ ჩამოიჩი ამხანაგებს! მაგრამ ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას მხედველობაში მივიღებთ და მეცხრე კლასში არ დაგტოვებთ, თუ, რა თქმა უნდა, შენც მოიწადინებ და იმეცადინებ. შენი ამხანაგები ძალიან წინ წავიდნენ, უნდა დაეწიო. — ისევ გაამხნევა სკოლის დირექტორმა.

დაპირებამ, რომ ამდენი უბედურების შემდეგ ერთ წელიწადსაც არ დაუკარგავდნენ ყმაწვილს, სასწაულებრივად იმოქმედა ვახტანგზე. ბიჭს უკვე გამოტირებული ჰქონდა თავისი მომავალი, იმედიც გადაუწყდა და აღარ სჯეროდა, თუ ოდესმე სკოლას კიდევ დაუბრუნდებოდა. მაგრამ ახლა, რომ გაიგო მისადმი ამდენ მზრუნველობას იჩენდნენ — ერთ წელიწადსაც კი არ უკარგავდნენ, სიხარულით აღარ იცოდა რა ეპასუხა.

ეს განწყობილება შეატყო ალექსანდრემ, იმასაც მისვდა, თუ რითი მიაღწია ამას და კიდევ დაუმატა:

— აბა, როგორ ფიქრობ? შენი აქ დარჩენა და დროს დაკარგვა შეიძლება, ვახტანგ? ახლა შენთვის წუთებიც კი ძვირფასია!

ვახტანგი მზად იყო ისე მოქცეულიყო, როგორც ალექსანდრე

ურჩევდა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ სანამ მამამისი საქმის შინაარსში გაერკვევოდა, არ მოიწონებდა შვილის გადაწყვეტილებას. მაინც, იმ წუთში შეუდგა წერილის წერას.

გიგიმ და ალექსანდრემაც დაუტოვეს წერილები „გარეული კაცის“. დაწერილობით ატყობინებდნენ იმ გარემოების შესახებ, რომლის მსხვერპლიც გახდა იგი, თან მოუწოდებდნენ, დაბრუნებულიყო თავის მიწაზე თბილისში, მიჰპატრონებოდა შვილს და ყოველმხრივ დაეხმარებოდნენ უკანდაწეული ოჯახის წევრში გასამართავად.

* * *

გამოქვაბულიდან რომ გამოვიდნენ, დეკემბრის მოკლე დღე უკვე თავდებოდა, თოვლით გადალესილ ლეკის მთებიდან საღამოს სუსხი წამოვიდა და, ერთ ადგილას დიდხანს უმოძრაოდ ყოფნის გამო კარგა გვარიადა შესცივდა მიხეილს. მაგრამ მას ახლა ეს არ აწუხებდა. მისი თვალი გამოქვაბულთან ჩამომავალი ბილიკისკენ იყო მიპყრობილი. როგორი კუნტრუშით მისდევდა მისი ერთადერთი იმედი თავისტოლა ბიქს! უკანაც აღარ იხედებოდა იმ ადგილისაკენ, სადაც გაუბედურებული მამა რჩებოდა.

მიხეილი დიდხანს უყურებდა მიმავალთ და, სანამ გორაკებს არ მოეფარნენ, მათთვის თვალი არ მოუცილებია. შემდეგ საფარიდან გამოვიდა და ლასლასით გაემართა გამოქვაბულისაკენ, გულდაწყვეტილი და ეულად დარჩენილი.

გამოქვაბულში შესვლისას რომ მყუდროებასა და სითბოსა გრძნობდა ხოლმე მიხეილი, ახლა საშინელი სიცარიელე იგრძნო. ბუხარში ცეცხლი გამქრალიყო და მყუდროების ნაცვლად სინესტი და სიცვი შეეგება შესულს. სინათლეს არ აუნთია, მიწვა საწოლზე გაუხდელად და ზედ ტყაუჭი წახიურა.

დიდამდე შამფურით იტრიალა საწოლზე: ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, მაგრამ ძილი მაინც არ გაჰკარებია. სად არ მივიდა ფიქრები, სად არ იმოგზაურა, კინოკადრივით გაუარეს განვლილმა ტუბილ-მწარე დღეებმა თვალიწინ. ბევრჯერ ყოფილა იგი მძიმე მდგომარეობაში და შუადარა ისინი დღევანდელს, მაგრამ ასეთი სიცარიელე გულში არასოდეს არ უგრძნია.

გათენებისას, გამოქვაბულში რომ დღის სინათლე შემოიჭრა, ცოტა გულს მოეშვა მიხეილს. საწოლში ტრიალით დადლილმა იფიქრა, გარეთ მაინც გავალ, თვალს რამეზე გადავაყოლებო, თორემ არაფრის გაკეთება უკვე აღარ შეეძლო — აღარც თევზაობა და აღარც ნადირობა. უცებ ბუხართან მიდგმულ სანოვანის ყუთზე წერილები შენიშნა. გაშმაგებული დასწვდა და თავის თავზე გული მოუვდა, რომ ისინი წუხნელ ვერ შენიშნა.

რამდენჯერმე გადაიკითხა სამივე წერილი.

წერილების კითხვისას მიხეილს სახეზე ათასნაირად ეცვლებოდა გამომეტყველება: ხან გაიღიმებდა, ხან ნაღველს შეურევდა ღიმილს, ხან სიბრაზის აღმურთვ გადაჰკარავდა და ხანაც ერთბაშად ყველაფერი წაეშლებოდა. როდესაც წერილების კითხვა დაამთავრა, თვალმეტყველებული დიდხანს გაჰყურებდა პირველი სხივით თითქოს ცეცხლწაიღებულ ლეკის მთების მწვერვალებს.

„აი, თურმე რითი გაუმარცხებიათ ბავშვი, — ფიქრობდა „გარეული კაცი“, — თორემ ის არავითარ შემთხვევაში არ წაჰყვებოდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ ისინი მართლებიც არიან? მე ხომ ნამდვილად არაფერი დამიშავებია? განა არ შეიძლება ასეთი რამე მოხდეს? თუმცა რას ვამბობ! რა დასაჯერებელია, რომ უჩემოდ დარწმუნდნენ ჩემს უდანაშაულობაში! არა, მახეს მიგებენ. თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა ჩემთვის. ვახტანგი წაიყვანეს უკვე“...

იმ ორ დღეს ასე ელაპარაკებოდა თავის თავს მიხეილი, მაგრამ ახალმა წელმა რომ მოატანა, ვეღარ დამაგრდა ერთ ადგილას. გამოქვაბულიდან ყველა ნივთები ნავეზე გადაიტანა და მარტოდ-მარტო მინგეჩაურისაკენ დაეშვა. გზაში იხვებისა და სარსარაკების გუნდებმა ცოტა ხალისზე მოიყვანეს მიხეილი. ხანდახან სადმე ყურეში მიბაბადა ხოლმე ნავს და მონადირეული გატაცება დროებით ავიწყებდა თავის მდგომარეობას, ამგვარად, სანამ მინგეჩაურში ჩავიდოდა, ნავი ნახევრად მოჰყარა ნანადირევით. იქ თავისი ნაცნობი „ასეთვის“ ინსპექტორები შეხვდნენ და უამბეს, თუ რა კეთილი განზრახვითა და როგორი გატაცებით დაეძებდა აგვისტოში ორი მოტორიანი ნავით რამდენიმე ახალგაზრდა.

ინსპექტორების ნაამბობი როგ გამოქვაბულში დატოვებული წე-

რილების შინაარსს დაჰმთხვა, ამან მიხეილის გადაწყვეტილება უკვე მთლად განამტკიცა: იქნება მართლა დარწმუნდნენ ჩემს სიმართლეში, მე რაღას ავხირობულვარ? მოდი წავალ და შევამოწმებ. თუ მაინცდამაინც მოგტყუედი, ვანდაბას ჩემი თავი. ახლა მაინც რაღა აზრი აქვს ჩემს ასე მარტოდმარტო ყოფნასო.

თბილისში ჩასასვლელად მიხეილმა ოცდათერთმეტი დეკემბერი შეარჩია იმ მოსაზრებით, რომ იმ დღეს ყველა თავის ოჯახურ მზადებაში იქნებოდა გართული ახალი წლის შესახვედრად და მიხეილისათვის არავის ეცლებოდა. ეს მდგომარეობა კი მიხეილს გაუადვილებდა თავის სახლში შეუმჩნევლად მისვლას. გარდა ამისა, წარმოიდგინა თავის ერთადერთი შვილი ახალწელს თბილისში ოხლოდ მყოფი, რომლისთვისაც არავინ არა ზრუნავს, და გული ეტკინა.

როგორც კი ეს გადაწყვეტილება მიიღო, უცებ ხასიათი გამოუკეთდა. თითქოს ენერჯიაც შეემბატა, გამხიარულდა, ღიღინის ხასიათზეც კი მოვიდა. ალაგებდა სამგზავრო ტომარებში ნანადირევ იხვებს, სარსარაკებს, ახლადდაქერილ ლოქოებს, შინაურულად გამოყვანილ შავ ხიზილალას და ღიღინებდა.

მიხეილს იღბლად თბილისში პირდაპირ წამსვლელი საბარგო მანქანა შეხვდა, მძღოლს მოურიგდა, დააყარა თავისი ბარგი-ბარხანა მანქანაზე და თვითონაც შეუხტა.

* * *

თუმცა არც ისე დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც მიხეილი თბილისში არ ყოფილიყო, მაგრამ ცხრა თვის განმავლობაში ტყე-ღრეშ, სახეტიალებს, კარავში და გამოქვაბულებში ნაცხოვრებს ზღაბრულად განათებული მოჩვენება სადღესასწაულოდ გაჩირადნებული ქუჩები. შეტყუარებდა იგი, დახარბებული ყველაფერ ამას, და გულში საამური სითბო ეღვრებოდა კვლავ მშობლიურ ქალაქში რომ გრძნობდა თავს.

მართლაც, არ მოტყუებულა „გარეული კაცი“ თავის ვარაუდში. მისთვის ნამდვილად არავის ეცვლა იმ დამეს თბილისში. ისე მიაღწია თავის სახლამდე, რომ ერთი ნაცნობიც არ შეხვედრია. უფრო სწორად რომ ითქვას, ბევრი შეხვდა, მაგრამ იმის გამო, რომ წვერ-გაუბარსავი იყო და მიცხვარულად შეკერილი ცხვრის ტყაუჭი ეცვა, ერთ დროს კოპწიოებით ცნობილი მიხეილი ვეღარავინ იცნო. არც მას სჭირდებოდა იმუამად ვინმე რომ გამოლოპარაკებოდა. ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: რაც შეიძლება, ჩქარა მისულიყო სახლში, ენახა ვახტანგი, შეემოწმებია წერილებში გამოთქმული იმ ხალხის დაპირებები და იმის მიხედვით აეგო თავისი მომავლის გეგმები.

„რა კარგი იქნება მართლაც, — საშუალება მომცენ ამ ხალხთან დავრჩე, ჩემი ჩაბნელებული და დაღუპებული ოჯახის ისეც ავახშიანო, მეც ჩავება ამთ ფერხულში“ — ფიქრობდა მიხეილი თავის სახლს რომ მიატანა. ხოლო ევოს კარი რომ გამოაღო და თვალი მოჰკრა იმ ფანჯრებს, სადაც მისმა ახალგაზრდობამ და ბედნიერმა წუთებმა გაიარა, თვალებს არ დაუფერა. იგი მოელოდა ჩაბნელებულ ფანჯრებს, სინამდვილეში კი ისინი ისეთნაირად იყვნენ გაჩირადნებულნი, რომ ერთ წუთს თავისი ქორწილი ვახსენდა მიხეილს — შიგნიდან მხიარული კრებულის ჟრიამული მოისმა.

ის იყო, ვინმე მეზობლისათვის უნდა დაეცკუნებინა და ეკითხნა, თუ რა ხდებოდა მის ბინაზე რომ, ამ დროს ევოში სანოვანით დატვირთული რამდენიმე ყმაწვილი შემოვიდა. ბიჭები პირდაპირ გზაში შეეფთვნენ უცნაურად წვერულვამ გაფანჩულ კაცს. ყველა ცნობისმოყვარეობით დააშტერდა, ჟურდი ხომ არ არის და დრო ხომ არ შეურჩია სადღესასწაულო მზადებაში გართულ ხალხსო. მაგრამ ერთმა მათგანმა შესძახა:

— ძია მიხეილ! თქვენა ბრძანდებით? — და განცვიფრებული შეტყუარებდა ტყაუჭიან მამაკაცს.

მიხეილმა თვალები მოისრისა, მხედველობა დაძაბა და ყმაწვილს დააშტერდა, რომელია იგი თავისი ყოფილი „ტყვე“ — მირიანი იცნო.

— მირიანი! შენ ხარ? აქ როგორ? ვახტანგი ხომ არ გინახავს, შინ რა ამბავია?! ჯერ არაფერი ვიცი! — და მიხეილმა მეორე სართულზე გაჩირადნებულ ფანჯრებს შეხედა.

მაშინ კი მიხვდა მირიანი, რომ ახალმოსული ჯერ სახლში არც კი შესულიყო, ამიტომ მისთვის პასუხიც არ გაუცია, მიატოვა იგი და კიბეზე ბრაგარუგით აირბინა, რომ მახარობლობა მისთვის არავის დავსწრო.

— ბიძა მიხეილი მოვიდა, ვახტანგის მამა! — იყვირა მირიანმა, სავხე დარბაზში ყველას გასაგონად. ამ ძახილზე ერთ წამს სიჩუმე

ჩამოვარდა, მაგრამ, როდესაც მათ შეგნებამდე მივიდა ძახილის შინაარსი, ყველა კარებს მიაწყდა, რომ ეზოშივე შეხვედროდნენ იმ ადამიანს, ვის საქმენადაც ორი უშედეგო ექსპედიცია მოეწყო.

ახალგაზრდობა ერთბაშად მიეგება მიხეილს, შინ შესვლას აღარ აცდიდნენ და ისიც, გაშტერებული, ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ყველაფერი ეს მის ბინაზე.

განათებულ დარბაზში რომ შევიდნენ და შეხედეს ახლადმოსულს, ნამდვილი გარეული კაცი წარმოუდგათ თვალწინ.

მიხეილმა ჯერ ხალხი შეათვალიერა, ყველა მათგანი ახალგაზრდა იყო, მხოლოდ ერთი ენა მათში უფრო დავაუკაცებელი. მერე ოჯახის ავეჯს მოავლო თვალი და, ყველაფერი რომ ისევ თავის ადგილას დახვდა, სახეზე კმაყოფილების იერმა გადაჰკრა. ასევე კმაყოფილი დარჩა, როდესაც ვახტანგი აათვალიერა-ჩაათვალიერა თავით-ფეხებამდე. ეტყობოდა ბიჭის ჯანმრთელი ფერთაც კმაყოფილი იყო და მისი ჩაცმულობითაც. მაგრამ, უცბად თვალი მოაცილა, რადგან უხერხულად ეჩვენა ამდენ ხალხში თავის შვილზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა. გაშლილი სუფურის მიხედვით მიხვდა რაშიაც იყო საქმე — ახალი წლის შეხვედრა მოეწყოთ ახალგაზრდებს.

მაგრამ, ვინ იყვნენ ისინი? ან ასეთი პატივისცემა ვახტანგისადმი რამ გამოიწვია, რომ მის ბინაზე მოუწყვიათ ეს შეხვედრა? რომელი დედა დაუტრიალდებოდა იბოლ ბიჭს?! მართალია, ფართობი საქმალ იყო, მაგრამ, განა სხვაგან ვეღარ მონახავდნენ შესაფერ ფართობს? რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ნუთუ, მართლა, გამოქვაბულში დატოვებული წერილებით რასაც პირდებოდნენ, ნამდვილად უსრულდებენ? და თუმცა ვეღარ გაებედნა, რომ ვინმესთვის ეკითხა, მაგრამ მისი სახე ამას აშკარად გამოხატავდა და დამსწრენიც მალე მიუხვდნენ.

სანამ მიხეილის მიერ ჩამოტანილ მარგს თავის ადგილს მაუჩენდა ვახტანგი, და სანამ ისევ ხელმოკრედ შემოუსხდებოდნენ სუფრას, იმ უფროსთაგანმა, რომელიც ყველაზე უფრო დავაუკაცებელი ჩანდა მთელ კრებულში, აკისრა მოკლედ განემარტა მიხეილისათვის მდგომარეობა. ეს იყო ჩვენი გიგი გურჯიძე. მან აუხსნა, როგორ შესდგა ჯერ პირველი ექსპედიცია მირიანის დაბრუნების შემდეგ, როგორ ჩაებნენ სასწავლებლები, შემდეგ მეორე ექსპედიციის მოწყობის ამბავი უამბო და დაუხატა იმ ნადირობის და მისი გამოქვაბულის პოვნის სურათი, რაც მიხეილმაც იცოდა ნაწილობრივ.

ნაამბობიდან ყველაზე უფრო ის გაეხარა მიხეილს, რაც გიგიმ უთხრა — ვახტანგი უკვე აღდგენილია სკოლაში და მეათე კლასის მოსწავლეაო. ამ ცნობამ ისე აღაფრთოვანა მიხეილი და ისე აუჩუყა გული, რომ წამოდგა, მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვა გიგის ხელი და თვალეში ცრემლები გაუბრწყინდა.

ხოლო, როდესაც პირველი ექსპედიციის ყველა მონაწილე წარუდგინა გიგიმ და აუწერა იმ ყმაწვილების თავგამოდება ფიქტრისელების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მიხეილი უკვე ცრემლებს ყლაპავდა.



შინ რომ ეს ამბავი ხდებოდა, მეზობლებს გაეგოთ, მიხეილი დაბრუნებულიაო. ისინი ჯერ გაუბედვად მიადგნენ ფანჯარას და იქიდან იხედებოდნენ, რადგან უცხო ყმაწვილებისა ერიდებოდით, ხოლო, როცა შიგნით ლაპარაკი დაამთავრეს და სუფრას შემოუსხდნენ, ერთმა ხნიერმა კაცმა ჯიქურად შეაღო კარები, მიხეილისაკენ გაემართა და შესძახა:

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება შენს ოჯახში, მიხეილ! ასე ტკბილად დამიბერდი! — გადაჰკოცნა მოსულმა და გოწინაყით სავსე ვაზა დაუდგა წინ, შემდეგ ერთი ჭიქა ღვინით დალოცა ახალგაზრდები და მიხეილსა და გიგის წასჩურჩულა:

— ჩვენსა წავიდეთ. გაუშვით, ბავშვებმა თავიანთებურად გაატარონ დრო და ისე მოიღბინონ, როგორც თვითონ უნდათ. ხომ იცით, უფროსებთან აწურულები იქნებიან. ზედამხედველობა ყოველთვის როდია საქირო.



საქართველო



რამდენიმე ხნის წინათ სხვა ქართველ ტურისტებთან ერთად ვიმოგზაურე ინდოეთში — ქვეყანაში, რომელიც ძველთაგანვე განთქმულია თავისი მდიდარი კულტურით, შესანიშნავი ბუნებითა და ხალხით. მოგზაურობისას ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ, რაზედაც შევეცდები მოკლედ მიიხსენო გითხროთ.

ძველი ინდური არქიტექტურის დღემდე შემორჩენილი ძეგლებიდან მნიშვნელოვანია 1199 წელს ქალაქ დელში აშენებული ქუთობის მინარეთი, მინარეთის სამოცდაჩვიდმეტ მეტრიანი კოშკი წითელი და თეთრი მარმარილოთა ნაგები (სურათი 1).

დღესასწაულებზე დასასწრებლად სოფლის მცხოვრებნი ქალაქებისაკენ მიეშურებიან. ქალაქში ჩასასვლელად ისინი ყოველგვარ ტრანსპორტს იყენებენ და განსაკუთრებით ურემს, რომელზედაც ორი ოჯახიც კი თავსდება ხოლმე (სურათი 2).


ინდოელები წელიწადის განმავლობაში 400-ზე მეტ რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავენ. ეს დღესასწაულები მიძღვნილია როგორც ღმერთების (სურათი 3; სადღესასწაულო პროცესია ღმერთის შივას მეთულის — კოლის პატივსაცემად), ისე ბუნების მოვლენებისადმი (სურათი 4: გაზაფხულის პირველი დღე მდინარე განგის სანაპიროზე).


უხსოვარი დროიდან მოიშინაურა ინდოელმა სპილო. ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში ხშირად შეხვდებით ამ უწყინარ და გონიერ ცხოველს (სურათი 5).

ალბათ ყველას გახსოვთ ინდური ფილმი „ავარა“ და მისი მთავარი გმირი.



(12)





უშვირიძე

ფოტო ავტორისა

პატარა რაჯი. ამ როლის შემსრულებელი რაჯ კაპურის ძმა, ზუბეიდა კაპური ახლა 16-17 წლის ჭაბუკია და მომავალი წლიდან სწავლის გაგრძელებას მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში აპირებს (სურათი 6).


ყველას ძალიან მოსწონდა ჩვენი სამკერდე ნიშნები, განსაკუთრებით ნიშანი — „მშვიდობა მსოფლიოს“. გამომშვიდობების დღეს პოეტმა იოსებ ნონეშვილმა პატარა ინდოელებს დაურიგა სამკერდე ნიშნების უკანასკნელი მარაგი (სურათი 7).

ისევე, როგორც სპილო, მაიმუნიც ძალზე გავრცელებულია ინდოეთში. ქალაქ ბენარესში მათთვის სპეციალური ტაძარია აგებული, სადაც ამჟამად მაიმუნების ასზე მეტი ოჯახი ცხოვრობს (სურათი 8).

ინდოეთის ქალაქებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით რიქშებს, რომელთაგან ზოგს მოტოციკლით მიჰყავს ორთვალი, ზოგს ველოსიპედით, ზოგი კი თვითონაა შებმული ამ ჩვენითვის უჩვეულო „ტრანსპორტში“ (სურათი 9).

სამხრეთ ინდოეთის ქალაქ მაისორის ახლოს დგას უზარმაზარი ტაძარი, რომელიც ძველი ინდური არქიტექტურისა და ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. იგი აგებულია 1269 წელს შივას პატივსაცემად (სურათი 10).


ინდოელებმა ბევრნაირი ცხოველისა და ქვეწარმავლის მოთვინიერება იციან ისე, რომ ყველაზე საშიში გველი — სამეფო კობრაც კი მათ ხელში უფნებელი ხდება (სურათი 11). საინტერესოა გველისა და დიდი ვირთხისმაგვარი ცხოველის, მანგუსტის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რაც უმეტეს შემთხვევაში მანგუსტის გამარჯვებით მთავრდება (სურათი 12).






11



4





ქალაქ კალკუტის ყველაზე შე-
სანიშნავ ადგილას აგებულია ტაძ-
რები, რომელთაგან თავისი არქი-
ტექტურითა და სკულპტურებით
ყველაზე საინტერესოა პარშვანა-
თის ტაძარი (სურათი 5).

მორწმუნე ინდოელები თა-
ვიანთ ღმერთებს ყოვლისშემძლე
ცხოველებად გამოსახავენ. ქალაქ
მაისორთან ახლოს დგას ქვისაგან
გამოთლილი უწარმავარი ხარი —
შევას გამოსახულება (სურათი 6).

ინდოეთში ყველა ბავშვი რო-
დი სწავლობს. არიან ისეთებიც,
რომლებიც პატარაობიდანვე სხვა-
დასხვა სამუშაოს იწყებენ, რათა
ორიოდე გროში შეიტანონ ოჯახ-
ში. პატარა ბიჭებისათვის ყველა-
ზე გავრცელებული საქმიანობაა
ფეხსაცმელების წმენდა. ისინი
მთელი დღის განმავლობაში ხალხ-
მრავალ ქუჩებში ტრიალებენ და
მუშტარს ეძებენ (სურათი 7).

ქალაქისაკენ მიმავალ გზატკეცი-
ლებზე ყოველთვის დიდი მოძრაო-
ბაა, განსაკუთრებით კი დილაო-
ბით, როდესაც უამრავი მანქანა,
ურემი, საბარგული ქალაქისაკენ
აანოვაგეს ეწიდება. ეს ურემები
(სურათი 8), რომლებიც ძალზე
გვანან ჩვენებურ ურემებს, ქალაქ
აურანგაბადიდან ბრუნდებიან.





სოფლის სკოლებში, საკლასო
ოთახებში ჯდომას, ამჯობინებენ
გაკვეთილი გარეთ, სუფთა ჰაერ-
ზე ჩაატარონ (სურათი 1). ეს პა-
ტარა ბიჭუნა — ფატიშ კუმარი
(სურათი 2) თავის მეზუთეკლასელ
დას ძალით წამოყვა სკოლაში,
მაგრამ იგი გაკვეთილზე არ და-
უშვეს, რადგან... ჯერ მხოლოდ
5 წლისაა.

ქალაქი ბენარესი წმიდა ქალა-
ქად ითვლება. აქ მრავალი ტაძა-
რია. მათ შორის საინტერესოა

ქვის ტაძარი, რომელიც მდინარე
განგის ნაპირთან ტიტვებს (სურ-
ათი 3).

ინდოეთში ძროხასა და ხარს
წმიდა ცხოველებად თვლიან. ისი-
ნი თავისუფლად დადიან არა
მარტო სოფლებში, არამედ დიდი
ქალაქების ქუჩებშიც, აინუნშიაც
არ აგდებენ ქალაქის მრავალრიც-
ხოვან ტრანსპორტს. მანქანები
დიდი სიფრთხილით უვლიან
გვერდს შუა პროსპექტზე მო-
სეირნე ძროხებს (სურათი 4).





ოთარ ჭელიძე

უჩინებელი

გარეგნობით ალხანა ისე ჰგავდა ჩაღხანას, როგორც ყვავის ბახალა ჰგავს მეორე ბახალას.

ჰქონდათ თმები შავ-შავი, შავზე შავი თვალები. მზისგან გაშავებულათ კისრები და მკლავები.

მეგობრები ძმებს ჰგავდნენ, იყვნენ ათი წლისანი, გზებზე ავლა-ჩამოვლა იყო მათი მიზანი...

უღვივლათ დაწვები, ვით წითელი ჭარხალი, სოფლის ბაღებს იკლებდნენ ალხანი და ჩაღხანი.

ერთად ჰქონდათ მოვლილი ახლო-მახლო სოფლები, უცხოთ ეგონებოდა ერთავენი ობლები.

ძმკაცურად გზადავზა უღიმოდნენ მოფრები, იყვნენ გაწამებული მათ ძებნაში მშობლები.

სძულდათ შავი ჭირივით ტანსაცმელი ახალი, ძველძანებში დარბოდნენ ალხანი და ჩაღხანი.

თანაკლასელ გოგონებს ჩაუშლიდნენ ხელსაქმეს, ბიჭებს გამოსტაცებდნენ პიონერის ყელსახვევს.

არც ტყეს ეპუებოდნენ, არც მდინარეს საშინელს,

ალხანი და ჩაღხანი



ნახ. დ. ხახუტაშვილისა

თავი პირველი

მოხუცები მსხლის ძირას ჩრდილში წვანან, მწვანეზე, დარაჯები მსჯელობენ კოლექტივის ყანებზე.

ერთი ამბობს: — ვენახი უკვე დასაწურია... მეორემ თქვა: — ო, დამცნა, წავალ, წყალი მწყურია.

და ის იყო ადგომა დააპირა დარაჯმა, დასწვდა, უნდა აეღო გაფენილი ფარაჯა...

სწორედ ამ დროს ხელებში ჩაუფარდა მას მსხალი, ქარვისფერი, გულაბი — წყაროს წყალზე ახალი.

— ოჰო, ღმერთმა მისმინა, მოხუცს წასკდა სიცილი, წყალს ხომ მსხალი სჯობია — გემრიელი, ცივ-ცივი.

„ღმერთმა ჩამომიგდო“, — თქვა მან დანამდვილებით და მაშინვე გაკბიჩა მსხალი მეჩხერ კბილებით.

— შენ თუ დაგცნა ძმობილო, მე სიცხეში შემცივდა? — თქვა პირველმა დარაჯმა, — მწიფე მსხალი მეც მინდა.

სწორედ ამ დროს მოხუცმა სიტყვა დაამთავრა და... მწიფე მსხალი მალედიან მის ხელებშიც ჩავარდა.

პოეტმა ოთარ ჭელიძემ დაწერა საბავშვო სათავგადასავლო პოემა — „ალხანი და ჩაღხანი“, რომელსაც მიმდინარე წელს საბლიტვაში ცალკე წიგნად გამოსცემს. ვბეჭდავთ რამდენიმე თავს პოემიდან.

ორივენი დახრჩობას ბევრჯერ გადაარჩინეს.

არცერთს ტოლი არ ჰყავდა ქვის შურულულით სროლაში, ბოლო გაკვეთილებზე დადიოდნენ სკოლაში.

„სად იყავით ამდენ ხანს?“ — რომ ტუქსავდნენ დედები, „გაკვეთილებს ვსწავლობდით“ — პასუხობდნენ ცეტები.

ბიჭებს მხრებზე ეკიდათ ხის თოფები, ფარ-ხმალი. არხეინად ვიღოდნენ ალხანი და ჩაღხანი.



— აი საკვირველება,
სასწაული ნამდვილი,
რალა ჩვენთან ეცემა
მსხალი ჩამოვარდნილი!..

მოხუცები მსხლის ძირას
ტკბილად ილუქმებოდნენ
და თან კმაყოფილები
სოფლის ამბებს ჰყვებოდნენ.

გაიხსენეს ბავშვობა,
ცისა, ბრისა მოთვალეს,



უცებ მსხლები მაღლიდან
ხედ დაეცა ორთავეს.

გადახედეს პაპებმა
წყრომით ერთიმეორეს,
თოფებს ხელი დასტაცეს,
დაემსგავსნენ მეომრებს.

— რად გეგონა — ხდებოდა
სასწაული ახალი,
აღბათ მსხალზე არიან
აღხანი და ჩაღხანი.

— მაშ, ვესროლოთ ახლავე,
ღმერთი მაგათ დაღუპავს.
აქ აღხანი იქნება,
ჩაღხანს მსხალი არ უყვარს.

პაპამ პაპას ჩურჩულით
უბასუხა მაშინვე:
— ტყვია თვალში არ მოხვდეს,
ეს ამბავი მაშინებს.

— საფანტია მარილის,
რის ტყვიაო, რა ტყვია,
მარილისგან რომ მოკვდეს
განა ჩიტის ბარტყია!

ვაშლის ძირას დადექი,
იქ იქნება ჩაღხანი. —
თქვა პაპამ და გაისმა
მისი თოფის ჭახანი.

მაგრამ საკვირველება
არაფერი არ მოხდა.
თოფის დაქუხებაზე
განა ვინმე ჩამოხტა.

ვაშლის ხეც და მსხლის ხეც
იყო ძლიერ მათალი,
ერთზე იჯდა აღხანი,
მეორეზე — ჩაღხანი.

როგორც შაშვის ბარტყები
ისხდნენ მიმალულები,

სულ სხვა მხარეს ემიზნათ
პაპებს თოფის ლულები.

— ბერიკაცებს ძალიან
დაგვისუსტლა თვალები,
თორემ მაგათ მარილის
ტყვიით გავაწვალებდით.

ვაწამებდით ორივეს,
როგორც ქორი წიწილებს! —
მათ სიტყვებზე ბიჭებმა
გულიანად იციინეს.

— რა ვქნათ, ეშმაკებივით
მათთან ხეზე ვერ ავალთ.
გადაიქცა ხე ჩვენთვის
მიუწვდომელ მწვერვალად.

ვაშლისა და მსხლის ძირას
ჩუმად დგანან პაპები.
— როგორ გვაპამბულებენ
ბერიკაცებს ღლაპები.

ისხალთან მღვარი დარაჯი
გადასძახებს მეორეს:
— შენ მანდ, მე აქ დავუციდი,
გამოვიჭერთ მეგობრებს.

უბასუხებს მეორე:
— აქ დილაშდის დავრჩებით,
ვანათ, როგორ წაგვივლენ
მსხლებითა და ვაშლებით. —

„მსხალზე ვზივარ მარტოკა,
რა ხანია, რა ხანი,
უჩაღხანოდ მომწყინდა“, —
გულში ამბობს აღხანი.

„ვაშლის ხეზე ვყურყუტებ,
ველარ ვხედავ ამხანაგს“, —
რასაც ფიქრობს აღხანა,
მასვე ფიქრობს ჩაღხანაც.

მზე ჩავიდა. სოფლებში
შემორეკეს ნახირი.



ისმის მწყემსი ბიჭების
სამამილადი ძახილი.

გამოფრინდა ლამურა,
ბაღში უკვე ბნელდება,
ალხანის და ჩალხანის
ძებნა იწყეს დედებმა.

მსხალთან ცალკე დარაჯი,
ვაშლთან ცალკე დარაჯი.
ჩუმად სხედან, იციდან
თოფითა და ფარაჯით.

ბაღრი მთვარე გაგორდა,
მიიშალა ღრუბლებში,
როგორც ვაშლი წითელი
ჩალხან-ბიჭის უბეში.

ბუს კივილი მოისმა,
აშრილოდნენ ფოთლები,
შავი ლამის სიბნელეს
შეუერთდნენ ტოტები.

შემოდგომის ღამეში
გზაზე დგანან დედები,
ყოველ გამგლეოს, გამოვლელს
ჭვრეტენ დაიმედებით.

გზაზე ჩამოქროლებულს
აჩერებენ მანქანას:
— თვალი ხომ არ მოჰკარით,
ალხანას და ჩალხანას?

ღლისით შრომით დაღლილნი
ღამით წუხან მშობლები.
— არ გვინახავს არც ერთი! —
პასუხობენ შოფრები.

ჭრიალებენ ურმები,
როგორც ძველი კარები,
ბნელ ღამეში კამჩებს
გვანან ჭრელი ხარები.

სამასი წლის ყვავივით
გზაზე ღამე წევს მრუმე,
— არ მინახავს არცერთი. —
მშობლებს ეტყვის მეურმე.

ხის წვეროზე ჩალხანმა
ჩუმად იწყო სლუკუნნი.
შესტკეპროდა თვალებში
შუაღამის უკუნნი.

ბოლოს ყურანის მარცვლებად
დაეკიდნენ ცრემლები,
ცრემლთა შესამშრალელებად
ტოტს შეუშვა ხელები.

უცებ ბაღში დაირღვა
მღუმარება ქურდული.

ბუდეებში ჩიტებმა
წამოიწყეს ჟღერტული.

ატყდა შფოთი ფოთლებს,
ხის ტოტების ჯახანი,
გადმოვარდნილ ქვასავით
ძირს დაეცა ჩალხანი.

ბაღრი მთვარეც მაშინვე,
გამოვარდა ორუბლიდან,
როგორც ვაშლი წითელი
ალხან-ბიჭის უბიდან.

ბერიკაცმა მაშინვე
გულით იგრძნო რაც მოხდა.
— ოჰო, ხელში ჩაგიგდე? —
სიხარულით აღმოხდა.

მკვდარივით წევს ჩალხანი,
წუხს კეთილი დარაჯი:
ვამლებს სახლში შოგიტან,
თუ ცოცხალი გადარჩი.

ამ სიტყვების გამგონემ
ბეგრი აღარ ახანა,
მსხლიდან ცირკის ციყვივით
ძირს ჩამოხტა ალხანა.

მას შესძახებს დარაჯი:
— სად მირბინარ, დაიცა! —
უცებ თოფი გავარდა,
გაქცეული წაიქცა.

იწვა ბიჭი ცოტახანს,
მერე ისე წამოხტა,
თითქოს ბაღში იმ ღამეს
არაფერი არ მოხდა.



მას მარლოს საფანტით
ფეხი ძლიერ აეწვა,
მაგრამ მაინც ჯავრობდა —
წელან როგორ დაეცა.

ქექვის დაბალ ლობეზე
გადაბობლდა ალხანა,
გულკეთილი დარაჯის
ხელში დარჩა ჩალხანა.

ბოლოს აღდა ჩალხანაც,
ლობეს გაჰყვა ხანხალით,
დარაჯებმა იჯერეს
გული სიცილ-ხარხარით.

* * *


დადიოდნენ კოჭლობით
ქველი ძმადნაფიცები,
მერე ერთად დათაღეს
გზად ნაპოვნი ფიცრები.

როგორც ხეობარები,
ეყრდნობოდნენ ყავარჯენს,
ალხანა და ჩალხანა
გაუბროდნენ დარაჯებს.

ყველა მათი მნახველი
გულს იფხანდა სიცილით,
ძმადნაფიცებს დაწვები
ეწვებოდათ სირცხვილით.

— ვინ არიან? — იძახდა
ყველა მათი მნახველი:
ალხანა და ჩალხანა
არის მათი სახელი. —

მაგრამ შერცხვენილებმა
არ დაყარეს ფარ-ხმალი.
ახალ საქმეს იწყებენ,
ალხანი და ჩაოხანი.



ჯონი ბუბინგონი

ნახატი გ. გელოვანისა

ბაყაყუბუბა ნაღირობა



აფხულის ცხელ ღამეს მტვრის ბორცვიდან სიბნელეში დავეშვით და ვაკეზე გაფანტულ სინათლეებისავენ ვავე-მართეთ — იქით ჩვენი ქალაქის მთავარი ქუჩა იყო.

— არ დაგავიწყდეს, სკერი ჩვენი მეთაურია. — ვუთხარი მე ახალბედს.

— კარგი, — მიპასუხა მან.

— სკერი საშინლად ღონიერია, — ვუთხარი მე, — ჩვენს სკოლაში მას არაფრად უღირს სცემოს ყველას, ვინც კი მოესურვება. თუ მან ჩვენთან არ მივიღო — ყველაფერი გათავებულა.

— კარგი, — მითხრა ახალბედამ, — გასაგებია.

მე ცოტა ვწუხდი, რომ ახალი ამხანაგი სკერის უკითხვად მოვიყვანე. მამაჩემი და ტიმი კონორის მამა ერთად მუშაობდნენ ხე-ტყის ქარხანაში. კონორები ამასწინათ გადმოვიდნენ გორაკზე მდებარე სახლში, ჩვენს მასლობლად. ტიმი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, კორფლიანი სახითა და აბურძგნული თმებით. ის არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ჩვენ ერთ კლასში ვსწავლობდით და მამაჩემმა დამიავალა — ამეყვანა ჩემი მფარველობის ქვეშ, სანამ არ მოგვეჩვეოდა. სხვა რა დამარჩენოდა, უნდა შეემსრულებინა მამაჩემის სიტყვა.

ჩვენს ქალაქში ტავლიანოს მალაზია ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ცხოვრება დაღამების შემდეგაც მიმდინარეობდა. ზაფხულის საღამოებში ვოგო-ბიჭები ესტუმრებოდნენ ხოლმე ამ ადგილს, მალაზიის უკანა ნახევარში და მიუხსნებოდნენ მწვანედ შეღებილ მაგიდას.

ჩვეულებრივად აქ, ამ მალაზიის წინ, იკრიბებოდა ჩვენი კამპანია. ჩვენ აქ დავეხეტებოდით, სანამ გამოჩნდებოდა სკერი, რომელსაც ყოველთვის მარაგში რაიმე ოინი ჰქონდა; ეს შეიძლება ხილის ბაღის გაქურდვა ყოფილიყო, ან რომელიმე სახლის სახურავის ქვებით დაბომბვა; მოთმინებიდან გამოვყავა და შეყვარებულები, ანდა მოხუცი ჯო ხოგარტის ბოსლიდან ვუშვებდით ძროხებს.

სკერი ღონიერი და უტიფარი იყო და არასოდეს არც ერთი ჩვენგანი არ შედაგებია მას უფროსობაში. გვეგონა, რომ სკოლაში თვით მასწავლებლებსაც კი ეშინოდათ მისი. ოჯახში ის ყველაზე უმცროსი იყო. მისი მამა და ძმები, ტყისმჭრელები, მეტად შკაცრი ადამიანები იყვნენ. ხალხი ერიდებოდა მათთან გზაზე შეხვედრას. სკერიც თავის ძმებსა ჰგავდა.

როდესაც მე და ტიმი ტავლიანოს მალაზიას მივეუახლოვდით, იქ უკვე სამი ბიჭი დავგვხვდა. ისინი ტიმს სკოლიდან იცნობდნენ, მაგრამ იჭვიანად, თავშეკავებულად მიესალმნენ, როგორც ეს ბიჭებსა და კატებს სჩვევიათ, როცა ისინი თავიანთ უცნობ თანამოძმეებს ხვდებიან.

— აბა, დღეს რა იქნება? — ვკითხე ერთერთ სამთავანს — ტიბა ხემბერს.

— არ ვიცი, — მომიგო მან, — სკერი რაიმეს მოაგონებს.

მან ქუსლით დატყეპნა წყალსადენის თხრილის ნაპირი, ტიმზე მანიშნა და იკითხა:

— სკერმა იცის, რომ უნდა მოგეყვანა?

— არა.

ტიბამ რაღაც წაიბურტყუნა.

ჩამოვსხედით, ვლავობდით და ვიცინოდით.

ტიმი ჩემს გვერდით იყო და თითქოს არ იღებდა მონაწილეობას ჩვენს საუბარში. ვინანე მისი წამოყვანა.

ათი წუთის შემდეგ კიდევ ოთხი თუ ხუთი შემოგვემართა, და ჩვენ ყველამ სკერის, დაუწყეთ ცდა. ბოლოს სკერი მოვიდა. სკერი სხვებზე უფროსი არ იყო, მაგრამ მაღალი იყო, მხარბეჭიანი, დიდი ხელები ჰქონდა, კლდესავით მაგარი მუშტები და გამხდარი, ღონიერი ტანი. ხელში გემის აუნთებელი ფარანი ეჭირა. ყველანი წამოვდექით და წავიბურტყუეთ:

— გამარჯობა, სკერი!

სკერიმ ზევიდან გადმოგვხვდა, ნათელი თვალები ტიმზე შეაჩერა და იკითხა:

— ეს ვინ არის?

პასუხად ზოზინით ვუპასუხე რაღაც, ის კი მიყურებდა და თვალს არ ახამხამებდა. ტურჩები მაგრად მოკვლია. ვიფიქრე — ტიმის გაბრუნება უნდა-მეთქი.

მაგრამ მან იკითხა:

— შეიძლება მასთან ვიქონიოთ საქმე?

— რასაკვირველია, შეიძლება. — დავარწმუნე მე.

სკერიმ თავი დაიქნია — წამოვიდესო.

მე გაუღიმიე ტიმს, მაგრამ მას არც კი შეუშინებია ჩემი დიმილი. იგი შეჰყურებდა სკერს და, ცოტა არ იყოს შევეშფოთლი: თითქოს არ ესმოდა რა პატივი დასდეს.

— ჩვენ წყაროსაკენ წავალთ, ბაყაყებზე ვინადირებთ.

ის ფარნის ქნევით გაჰყვა ქუჩას და ჩვენც უკან მოვჩანჩალვდით, მოსალოდნელ ფათერაკზე ფიქრით აღუნებულნი ერთიმეორეს ვაწყყებოდით.

ქალაქს გავცდით და სიბნელეში ჩანთქმულ სიღისაკენ გავემართეთ. სკერიმ ხიდის მოაჯირზე ჩამოჰკიდა ფარანი, ანთო და პატრუქი გაასწორა. ყვითელი შუქი ათამაშდა ჩვენს სახეებზე და გაანათა მოკამკამე ნაკადული.

— ხმა გაკმინდეთ! — ბრძანა სკერიმ, — უსმინეთ!

ჩვენც ხმა გავკმინდეთ და ვუსმენდით ურიცხვ ბაყაყთა სევდიანსა და საცოდავ ყიყინს.

— დღეს კარგი ნადირობა გვექნება. — თქვა სკერიმ. — დიკ, აიღე ფარანი, თქვენ კი ყველანი მას გაჰყევით.

დიკ რაიდერი დაემორჩილა სკერის, ფარანი აიღო და პირველი დაეშვა ძირს, ნაპირისაკენ. მას კეტით შეიარაღებული სკერი მოჰყვებოდა, ჩვენ კი ყველანი მას მივდევდით. მე ტიმ კონორთან ერთად უკან მოვხვდი.

— რა უნდა გავაკეთოთ? — წამჩურჩულა ტიმმა.

— მიენდე სკერს, — მეც ჩურჩულითვე ვუპასუხე.

ჩვენ ოციოდე იარდიც არ გვექონდა გავლილი, როცა სკერმა დიკს გაჩერება უბრძანა. ის დაიხარა ნაპირისაკენ და ჯოხის ქვებს შორის წყალში შეჰყო.

— დაუშვი ფარანი, დიკ! — ბრძანა სკერიმ.

დიკ რაიდერმა ფარანი დაუშვა და სინათლე პირდაპირ გუბეს დაეცა. სკერის ალტაცების ხმა აღმოხდა. იგი ჯოხის წვერით ბაყაყს შეეხო და გუბიდან ამოაგდო. ბაყაყმა წრე შემოხაზა და თათებგაშლილი მშრალ ქვიშაზე დაეცა. ის იყო დიდი — ექვსი დიუმის სიგრძის ბაყაყი, მუქ-მწვანე ზურგით, თეთრი ყელითა და მუცლით. იგი უმწეოდ ეგდო ქვიშაზე, სინათლით დაბრმავებულსა ჰგავდა, გვერდები და ყელი მძიმედ ებერებოდა, მბრწყინავ თვალებში შიში ჩადგომოდა.

— აბა, დავიწყეთ! — იყვირა სკერიმ, — მოიმარჯვეთ თქვენი საომარი საჭურველი!

მან წყაროს ძირში მოაფათურა ხელი და ერთი მუჭა ქვა და კენჭი ამოიღო. ყველამ მას მივბაძეთ.

— დიკ მინათე ფარანი, — უთხრა სკერიმ და პირველი ქვა ისროლა.

ქვა ბაყაყს არ მოხვედრია. მან მხოლოდ ქვიშა გაფან-

ტა მის მახლობლად. ბაყაყი შეინძრა, ყელმა და გვერდებმა უფრო სწრაფად იწყეს ფეთქვა.

ვიღაცამ კიდევ ისროლა ორი თუ სამი ქვა, მაგრამ არც ერთი მიზანს არ მოხვედრია. მაშინ სკერიმ ზედიზედ დააყარა ორი ქვა. პირველმა ბაყაყს ფეხი გაუჭეკყყა, მეორე კი თავში მოხვდა. ბაყაყის სხეული ქვიშაზე იკრუნჩხებოდა.

— აუტდენლად, როგორც მე! — წამოიყვირა სკერიმ.
— წავიდეთ სხვა ბაყაყებზე.

მე ვუყურებდი მას, როცა ის იღვა ასე, ფარნის შუქით გაანათებული, ვხედავდი მის მკაცრ, მბრწყინავ თვალებს და უცბად მივხვდი, რომ სკერი თავისთავში ანსახიერებდა ყველაფერს, რაც კი მძულდა. მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ვერასოდეს ვერ გავხედავდი ვინმესთვის მეთქვა ამის შესახებ; ხომ დამცინებდნენ, როგორც უკანასკნელ სულელს. და ამრიგად, მუდამ უნდა ვდიო კვალდაკვალ სკერის, რადგანაც იგი ჩვენი წინამძღოლია. ერთბაშად ვიღაცის ხმა გაისმა:

— განა ამას ჰქვია ბაყაყებზე ნადირობა? პირველად ეს ხმა ვერ ვიცანი, იგი არცერთ ჩვენგანს არ ეკუთვნოდა. ერთბაშად მივხვდი, რომ ეს ტიმ კონორი იყო — ტიმ კონორი, რომლის თავდებიც მე ვიყავი. მე ცუდად შევიქენი, როცა სკერიმ ცივად იკითხა:

— ვინა თქვა ეს?
ტიმ კონორი წინ წამოდგა. ის სკერიზე პატარა იყო, ჭორფლიანი სახე გაწითლებოდა, მაგრამ შიშს არ იმჩნევდა.

— მე ვთქვი.
სკერიმ მუშტი მოუქნია, მაგრამ ტიმმა აიცივინა. იგი უფრო მოქნილი იყო, მაგრამ სკერი მხეცივით იბრძოდა. ეტყობოდა, რომ მან გადაწყვიტა ტიმ კონორის მაგრად მიბეგვა. ძარღვები და კუნთები დაჭიმოდა. ტიმს ცხვი-

რიდან სისხლი სდიოდა, თვალი ჩალურჯებოდა, სკერიმ ქვეშ მოიგდო იგი.

სკერიმ შემოგვხედა, თითებით ცხვირი მოიხიოცა და გვითხრა:

— აბა, განვაგრძოთ გზა!
მას იმ ძლიერი და თვითკმაყოფილი ხელმძღვანელის სახე ჰქონდა, რომელმაც ეს-ეს არის ჩააქრო აჯანყება თავის უბანზე. ის თითქოს თითოეულ ჩვენგანს იწვევდა საბრძოლველად.

მე სკერისა მეშინოდა, ყოველთვის მეშინოდა მისი, მაგრამ უეცრად გავიგონე ჩემი ხმა:

— ვერც მე ვხედავ ამაში რაიმე საინტერესოს. მუშტებმომარჯვებული სკერი ჩემკენ შემოტრიალდა, მაგრამ ნაბიჯის გადმოღვამაც კი ვერ მოასწრო, რომ სამმა თუ ოთხმა ხმამ იგივე გაიმეორა. სკერი შეჩერდა. ერთი სახიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა. მისი უკვე აღარ ეშინოდათ. იგი გარეტიანებული და გაუბედავი ჩანდა. მას შეეძლო თითოეული ჩვენგანის ცემა, ერთი მეორის მიყოლებით, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ყველას ერთად ვერ გვცემდა.

ტიმ კონორმა სახელოთი მოიწმინდა გასისხლიანებული სახე და ამოძვრა წყლიდან, სადაც სკერის დარტყმებმა ჩააგდეს. სკერს არ უცდია მისი შეჩერება. უკანასკნელად სცადა დამოუყიდებლად და მშვიდად მოეჩვენებინა თავი. იგი შებრუნდა დიკ რაიდერისაკენ და უთხრა:

— წავიდეთ, დიკ! დაე, ამ ქალაქუნებმა რაც უნდათ ის გააკეთონ.

მაგრამ დიკ რაიდერმა ფარანი ქვიშაზე, მოკლული ბაყაყის მახლობლად ჩამოდგა.

— მე სახლში მივდივარ, — თქვა მან და ქვევით, წყლისაკენ დაეშვა.

მე და ტიმ კონორი უკან გავყევით და გვესმოდა როგორ მოგვდევდნენ სიბნელეში დანარჩენებიც სკერი, სადაც დავტოვეთ, იმავე ადგილას იჯდა მარტო, ანთებული ფარნით, და გვიყურებდა. დამ არც ხეზულ გენერალს ჰგავდა რომელიც ბრძოლის ველზე ჯარმა მიატოვა.

ჩვენ შეთანხმებულებით გავიქეციით ტაგლიანოსაკენ. მი რამდენიმე წაბიჯით წინ ვიყავი ტიმზე, როცა მალაზიის განათებული ფანჯრების წინ გავჩნდით, საიდანაც ბანანის, ვაშლისა და ფორთოხლის პირამიდები მოჩანდა.

იქ დავჯექით და ჩქარი სიარული საგან სულს ძლივს ვითქვამდით. ტიმს კვლავ სდიოდა სისხლი, მაგრამ იგი ახლა უფრო ძლიერი მეჩვენა, ვიდრე სკერი.

თარგმანი მ. პაპუკაშვილმა



სკერი, სადაც დავტოვეთ, იმავე ადგილას იჯდა მარტო, ანთებული ფარნით, და გვიყურებდა.

ტა მის მახლობლად. ბაყაყი შეინძრა, ყელმა და გვერ-
დებმა უფრო სწრაფად იწყეს ფეთქვა.

ვილცამ კიდევ ისროლა ორი თუ სამი ქვა, მაგრამ
არც ერთი მიზანს არ მოხვედრია. მაშინ სკერიმ ზედი-
ზედ დააყარა ორი ქვა. პირველმა ბაყაყს ფეხი გაუჭეჭ-
ყა, მეორე კი თავში მოხვდა. ბაყაყის სხეული ქვიშაზე
იკრუნჩხებოდა.

— აუტდენლად, როგორც მე! — წამოიყვირა სკერიმ.
— წავიდეთ სხვა ბაყაყებზე.

მე ვუყურებდი მას, როცა ის იდგა ასე, ფარნის შუ-
ქით გასათებული, ვხედავდი მის მკაცრ, მბრწყინავ თავ-
ლებს და უცბად მივხვდი, რომ სკერი თავისთავში ანსა-
ხიერებდა ყველაფერს, რაც კი მძულდა. მაგრამ კარგად
ვიცოდი, რომ ვერასოდეს ვერ გავხედავდი ვინმესთვის
მეთქვა ამის შესახებ; ხომ დამცინებდნენ, როგორც უკა-
ნასკნელ სულელს. და ამრიგად, მუდამ უნდა ვდიო
კვალდაკვალ სკერის, რადგანაც იგი ჩვენი წინამძღოლია.

ერთბაშად ვილაცის ხმა გაისმა:

— განა ამას ჰქვია ბაყაყებზე ნადირობა?

პირველად ეს ხმა ვერ ვიცანი, იგი არცერთ ჩვენგანს
არ ეკუთვნოდა. ერთბაშად მივხვდი, რომ ეს ტიმ კონო-
რი იყო — ტიმ კონორი, რომლის თავდებიც მე ვიყავი.
მე ცუდად შევიქენი, როცა სკერიმ ცივად იკითხა:

— ვინა თქვა ეს?

ტიმ კონორი წინ წამოდგა. ის სკერიზე პატარა იყო,
ჭორფლიანი სახე გაწითლებოდა, მაგრამ შიშს არ იმჩ-
ნებდა.

— მე ვთქვი.

სკერიმ მუშტი მოუქნია, მაგრამ ტიმმა აიცილინა. იგი
უფრო მოქნილი იყო, მაგრამ სკერი მხეცივით იბრძოდა.
ეტყობოდა, რომ მან გადაწყვიტა ტიმ კონორის მაგრად
მიბეგვა. ძარღვები და კუნთები დაჭიმოდა. ტიმს ცხვი-

რიდან სისხლი სდიოდა, თვალი ჩალურჯებოდა. მალე
სკერიმ ქვეშ მოიფლო იგი.

სკერიმ შემოგვხედა, თითებით ცხვირი მოიხოცა და
გვითხრა:

— აბა, განვაგრძოთ გზა!

მას იმ ძლიერი და თვითმყაფილი ხელმძღვანელის
სახე ჰქონდა, რომელმაც ეს-ეს არის ჩააქრო აჯანყება
თავის უბანზე. ის თითქოს თითოეულ ჩვენგანს იწვევდა
საბრძოლველად.

მე სკერისა მეშინოდა, ყოველთვის მეშინოდა მისი,
მაგრამ უეტრად გავიგონე ჩემი ხმა:

— ვერც მე ვხედავ ამაში რაიმე საინტერესოს.

მუშტებმომარჯვებული სკერი ჩემკენ შემოტრიალდა,
მაგრამ ნაბიჯის გადმოდგმაც კი ვერ მოასწრო, რომ
საშმა თუ ოთხმა ხმამ იგივე გაიმეორა. სკერი შეჩერდა.
ერთი სახიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა. მისი უკვე
აღარ ეშინოდათ. იგი გარეტიანებული და გაუბედავი
ჩანდა. მას შეეძლო თითოეული ჩვენგანის ცემა, ერთი
მეორის მიყოლებით, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ყველას
ერთად ვერ გვეცემდა.

ტიმ კონორმა სახელოთი მოიწმინდა გასისხლიანე-
ბული სახე და ამოძვრა წყლიდან, სადაც სკერის დარტ-
ყმებმა ჩააგდეს. სკერს არ უცდია მისი შეჩერება. უკა-
ნასკნელად სცადა დამოუკიდებლად და მშვიდად მოე-
ჩვენებინა თავი. იგი შებრუნდა დიკ რაიდერისაკენ და
უთხრა:

— წავიდეთ, დიკ! დაე, ამ ქალაჩუნებმა რაც უნდათ
ის გააკეთონ.

მაგრამ დიკ რაიდერმა ფარანი ქვიშაზე, მოკლული ბა-
ყაყის მახლობლად ჩამოდგა.

— მე სახლში მივდივარ, — თქვა მან და ქვევით,
წყლისაკენ დაემშვა.

მე და ტიმ კონორი
უკან გავყევით და გვესმო-
და როგორ მოგვდევდნენ
სიბნელეში დანარჩენებიც
სკერი, სადაც დავტოვეთ.
იმავე ადგილას იჯდა მარ-
ტო, ანთებული ფარნით, და
გვიყურებდა. დამარცხე-
ბულ გენერალს ჰგავდა
რომელიც ბრძოლის ველზე
ჯარმა მიატოვა.


ჩვენ შეთანხმებულებე-
ვით გავიქვეით ტაგლიანო-
საკენ. მი რამდენიმე ნაბი-
ჯით წინ ვიყავი ტიმზე,
როცა მალაზიის განათებუ-
ლი ფანჯრების წინ გავ-
ჩნდით, საიდანაც ბანანის,
ვაშლისა და ფორთოხლის
პირამიდები მოჩანდა.

იქ დავჯექით და ჩქარი
სიარული საგან სულს
ძლიეს ვითქვამდით. ტიმს
კვლავ სდიოდა სისხლი,
მაგრამ იგი ახლა უფრო
ძლიერი მეჩვენა, ვიდრე
სკერი.

თარგმნა მ. პაპუაშვილი



სკერი, სადაც დავტოვეთ, იმავე ად-
გილას იჯდა მარტო, ანთებული ფარ-
ნით, და გვიყურებდა.



„ჭალღეის კომეტა“

1682 წელს ცაზე გამოჩნდა კომეტა. შენაწინავემა მეცნიერმა ჰალეიმ ჩაატარა მეტად რთული გამოთვლები და გამოიანგარიშა, რომ ეს კომეტა განმეორებით უნდა გამოჩენილიყო 1758 წელს. ამის გამო, ამ კომეტას „ჰალღეის კომეტა“ უწოდეს. ასეთი წინასწარმეტყველება მაშინ პირველი იყო ასტრონომიის ისტორიაში. პირველად იქნა დამტკიცებული, რომ ერთი და იგივე კომეტა შეიძლება განსაზღვრული დროის შემდეგ, პერიოდულად გამოჩნდეს ცაზე. შემდეგში ბრწყინვალე მათემატიკოსმა კლერომ ჩაატარა საოცრად დიდი განგარიშება და მან ჰალღეიზე უფრო ზუსტად იწინასწარმეტყველა ის დრო, როდესაც ეს კომეტა გამოჩნდებოდა.

მეცნიერებამ იზეიმა: კომეტა მართლაც გამოჩნდა ნაწინასწარმეტყველებ დროს. ის შემჩნეული იქნა 1758 წლის 25 დეკემბერს. კომეტამ მხოლოდ 32 დღით დაასწრო გამოჩენა კლეროს მიერ გამოანგარიშებულ რიცხვს. მეცნიერების ასეთმა მიღწევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ სწავლულთა შორის.

„ჰალღეის კომეტის“ მოძრაობას მრავალი მეცნიერი დაუღალავად იკვლევდა. ჩატარებული იყო გრანდიოზული მუშაობა, რის შედეგადაც კომეტის დროდადრო გამოჩენის პერიოდი 76 წლით განისაზღვრა. ძველმა ასტრონომებმა უკვე დიდი სიზუსტით იცოდნენ, რომ ეს კომეტა 1909 წელს კიდევ უნდა გამოჩენილიყო.

მართლაც, 1909 წლის 11 დეკემბერს ფოტოგრაფიული გადაღებით ცაზე მონახული იყო ზედმიწევნით სუსტი სიკაშკაშის მქონე კომეტა. ის თანდათან უახლოვდებოდა მზეს და იზრდებოდა და ნათდებოდა. 1910 წლის თებერვალში კომეტას სხეული დაუგრძელდა: მისგან კულმა იწყებოდა გამოზრდა. ამავე წლის მაისში კული

ისე გაიზარდა, რომ მისმა სიგრძემ 110 მილიონ კილომეტრს მიაღწია. ეს გრანდიოზული კული, რომელიც მოელვარე ზოლად თითქმის ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე მთელ ცაზე გადაიქიმა, დილა-საღამოს ვერცხლისფრად კაშკაშებდა.

წინასწარ ცნობილი იყო, რომ 18 მაისს კომეტას უნდა გავლყო დედამიწის ახლოს. ასტრონომთა ზუსტი გამოთვლები ირწმუნებოდა, რომ ამ დღეს, 18 მაისს, დედამიწა უთუოდ უნდა შეჯახებოდა კომეტის კულს. ასეთმა წინასწარმეტყველებამ ხალხში დიდი შიში და მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. ხალხი განსაკუთრებით ააღელვა იმ ცნობამ, რომ კომეტის კული შეიცავდა ძლიერ მოწამვლელ გაზს — ციანს.

ალაპარაკდნენ კომეტაში არსებული ციანის გაზით დედამიწის ატმოსფეროს მოწამვლაზე. ადამიანებმა წარმოიდგინეს, რომ ატმოსფეროს მოწამვლის შედეგად დედამიწაზე სიცოცხლე მოისპობოდა. თანდათან საზოგადოება შეიპყრო ქვეყნიერების კატასტროფის, კაცობრიობის დაღუპვის რწმენამ. ხალხის აღშფოთებას და შიშს საზღვარი აღარ ჰქონდა. ზოგიერთმა სამრეწველო ფირმამ მომავალი მოწამვლის თავიდან ასაცილებლად შექმნა სპეციალური ნიღაბი — „ანტიჰალღეისი“, რაც დიდი რაოდენობით იყიდებოდა. გაცხოველდა სასულიერო სავაჭროებში ვაჭრობა საკურთხის წყლებით, სანთლებით. მოზღვავეა საჩუქრები ეკლესიებში, შეიქმნა გაუმღებელი ლოცვა-კურთხევა, ღმერთს ევედრებოდნენ, გადაერჩინა დედამიწა საშინელი დაღუპვისაგან, ხალხი უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა მაშინდელ ცნობილ ასტრონომთა აზრს, რომ დედამიწასთან კომეტის შეჯახებას არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

არც მაშინდელი პრესა ჩამორჩა ამ საერთო პანიკას. გაზეთი „რუსსკოე სლოვო“

1910 წელს იუწყებოდა: „მადრიდი. 5(18) მაისი. ესპანეთის მოსახლეობა შებინდების კომეტის გამოჩენას უცდის დიდი მოუხვენრობით. ქალაქის ქუჩებში და სოფლებში დამით გროვდება ხალხი. ეკლესიებში განუწყვეტლივ სრულდება წირვა, მრავალ ეკლესიაში ცოდვებს ინანიებენ. განშირდა თვითმკვლელობა, რაც აისხნება ქვეყნის დასასრულის შიშით. თავზარდაცემული უცდიან კომეტის გამოჩენას“.

„თერანი. 4(17) მაისი. ოთხშაბათს, 6(19) მაისს, სპარსელები ელიან საშინელებას. ადგილობრივმა ასტრონომებმა გამოაცხადეს რომ მაისის 6-ში დადგება ქვეყნის დასასრული. გაკრულია აფიშები, სადაც სამღვდლოება მართლმადიდებლებს მოუწოდებს იმარხულონ და ილოცონ. გათხრილია ღრმა ჭები, სადაც სურთ ოთხშაბათს „ციურ რისხვას“ დაემალონ. უკვე ათი დღეა, რაც აქ ჩანს „ჰალღეის კომეტა“.

„პანიკა პარიზში. 6 (19) მაისი. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში პარიზის ეკლესიებში სამღვდლოება ვერ ასწრებდა ყველა მთხოვნელის აღსარება მიეღო. მთხოვნელები უმეტესად ქალებია“.

მაგრამ კომეტამ გაიარა მზესა და დედამიწას შორის და 18 მაისს დედამიწა მართლაც შეიჭრა კომეტის კულში. დედამიწა ნამდვილად გაეხვია კულში და თავისუფლად გადაქრა, გაიარა კომეტის სხეულის ეს საოცრად მცირე სიძვერივის, ზედმიწევნით გაიშვიათებული ნაწილი. მიუხედავად დიდად დაძაბული დაკვირვებისა, კომეტის კულში დედამიწის გავლის დროს ასტრონომთა მიერ არ იყო შემჩნეული რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგაც და დედამიწაზე.

შემდეგ, საკმაოდ მოგვიანებით, დედამიწის ზოგიერთი ადგილებიდან დამით შენიშნული იყო სუსტი ნათება, რაც იმით იქნა ახსნილი, რომ დედამიწის მიწიღულობის არეში მოხვედრილი კომეტის კულის ნაწილაკები განლაგდა ატმოსფეროს ზედა ფენებში. მზის ჩასვლის შემდეგ კულის ეს მატერიალური ნაწილაკები მზის სინათლის სხივებს გარდატეხდნენ, და ამგვარად, ოდნავ ანათებდნენ ცას.

1910 წლის მოვლენა — კომეტის კულის დედამიწასთან შეჯახების შემთხვევა — პირველი როდია, ის 1819 და 1861 წლებშიც მოხდა.

მაისისა და ივნისის პირველ რიცხვებში ჰალღეის კომეტის კული ცას თითქმის კილიან კილევ სწვდებოდა, ხოლო ივლისის პირველ რიცხვებში მისი კული ისე დამოკლდა, რომ ძლივს მოჩანდა. ამის შემდეგ კომეტა რამდენიმე თვით მზის სხივებში დაიკარგა. მან გარემო შემოაურა მზეს, იყო მისგან დაცილება და თანდათან მცირდებოდა და ქრებოდა. დეკემბერში უკვე მრავალი ფორმისა იყო, ყოველგვარი კულის გარეშე. უკვე ის დრო იყო, როცა ჩვენი სტუმარი კომეტა თავის შორეულ სამყოფელში ბრუნდებოდა. იგი 76 წლით მიიმალა სამყაროს შორეთში.

* * *

კაცობრიობა მოწმე იყო არაერთი დიდი კომეტის გამოჩენისა, მაგრამ მათ შესახებ

უკანასკნელ დრომდე მენცერებამ გარკვევით არ იცოდა რა.

მაგალითად, ძველი დროის სახელგანთქმული მეცნიერი არისტოტელი (384-322) კომეტის მოვლენას შემდეგნაირად ხსნიდა:

„დედამიწის ზედაპირიდან ანაორთქლი და ბული დროდადრო აღწევს ატმოსფეროს ზედა ფენებს და იქ, ზემოთ, ეს ორთქლი და ბული გროვდება, იკუმშება, შემდეგ მზესთან და ვარსკვლავებთან სიახლოვისა და მისი მოძრაობის გამო იწყებს წვას. კომეტა მანამდე ჩანს ცაზე, ვიდრე ანაორთქლი მთლიანად არ დაიწვეება“. არისტოტელის აზრით კომეტა სრულებითაც არ წარმოადგენდა ციურ სხეულს, იგი მიწიერი წარმოშობისა იყო და მისი გამოჩენა დედამიწაზე იწვევდა სიმშრალეს, გვალვებს, მოუსავლიანობას. მაშასადამე, კომეტის გამოჩენა ნიშნავდა იყო კაცობრიობის უბედურებას. მართლაც, დღემდე კომეტის გამოჩენას ხალხი შიშით ხვდებოდა. კომეტა მიაჩნდათ სიმშობის, სიღატაკის, მოპარობის, ეპიდემიური დაავადებისა თუ სიკვდილიანობის მაუწყებლად.

1668 წელს ინგლისის მეფე ჰაროლდი ნორმანების ჰერცოგმა — ვილჰელმმა დაამარცხა. იმ წელს, ინგლისში დამპყრობელ ვილჰელმის მისვლამდე, ცაზე გამოჩნდა კომეტა. მეფე ჰაროლდის ახლობლები მოგვითხრობენ: „ჩვენმა მეფემ პირველმა შეამჩნია დაპყრობის მაუწყებელი მარისხანე კომეტა, რის შემდეგაც სიმშვიდე ვერ ჰპოვა. მან განაცხადა: „ეს მაუწყებს სამეფოს შეცვლას და მეფის სიკვდილს“.

მეფე და ხალხი შიშით შესტკეროდა დამაპყრობელი კულის მქონე, თავმოქმედებდა მოკლევარე გოლიათ კომეტას. ვილჰელმის მეუღლემ — დედოფალმა მატილდამ ეს სცენა ვიებერთელა, სამოცდაათმეტრიან ნოხზე მოქარა. დღეს ეს ნოხი საფრანგეთის ქალაქ ბაიეში ინახება.

სულ რამდენიმე წლის წინად გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე გვირგვინში ატარებდა პატარა ნაჭერს, ამოჭრილს სწორედ მატილდას ნოხის იმ ნაწილიდან, სადაც მოქარგული იყო კომეტის კული. აი, რა ფასდაუდებელ საგანსურად გადააქცია კომეტამ ინგლისის სამეფოში მატილდას ნოხის პაწია ნაჭერი.

1618 წელს გამოჩენილი კომეტის შესახებ რუსი მემატიანენი მოგვითხრობენ: „ცაზე ასეთი ნიშნის შემხედვარე მეფე და ხალხი შიშის ზარმა აიტანაო“. ამ კულიდან ვარსკვლავზე ასე მსჯელობდნენ: „თუ რომელიმე სახელმწიფოს ზემოთ ეს ვარსკვლავი თავით დგას, იმ სახელმწიფოში ღმერთი გზავნის ყოველგვარ სიმდიდრეს და სიწყნარეს. ხოლო იმ სახელმწიფოში, რომლის ზემოთაც კომეტა კულით დგას, მოხდება ომი, დიდი სისხლისღვრა და უბედურებაო“.

1664 წელს პორტუგალიის მეფე ალფონს VI, სიცოცხლისა და სამეფო ტახტის დაკარგვის შიშით მოომინებლიდან გამოსული, დამბაჩას ესროდა და ლანძღვა-გინებას უგზავნიდა კაშკაშა კომეტას.

ან კიდევ, ნიკოლოზ 1-ის მეფობის დროინდელ ბნელ რუსეთში მოსკოვის უანდარმერის უფროსის, ვინმე ლუტინის

ბრძანებაში ვკითხულობთ: „შეგიტყე, რომ გუშინ პიატინცკის ქუჩიდან ჩანდა კომეტა, რაც ამ უბნის უფროსის მიერ არ იყო დაზღვეული. ამ მდგომარეობას ვაწერ რა უბნის პრისტავის სამსახურებრივ უფიცობას, ვუცხადებ მას სასტიკ საყვილურს.“

უფიცობის მსგავსი ფაქტები მრავალია, მაგრამ ყველას ჩამოთვლას აქ არ შეეუბნებოთ. აღსანიშნავი მხოლოდ ისაა, რომ დღესაც უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ხალხს მიაჩნია, რომ ციურ სხეულებს კავშირი აქვს ადამიანის ბედთან, რომ ციური სხეულების განლაგებაში თითქოს შეიძლება კაცობრიობის მომავლის ამოკითხვა. ცხადია, ასეთი წარმოდგენები ცრუმორწმუნე ადამიანთა უფიცობას და გონებაშეზღუდულობას გვიჩვენებს.

ციურ სხეულთა შორის კომეტები თავი სხეული და მეტად საინტერესო სხეულებია. შეუიარაღებელი თვალით რომ წაინდგინო, ასეთი დიდი კომეტები იშვიათია და საუკუნეში საშუალოდ ორი-სამი თუ გამოჩნდება. დიდი კომეტის სხეულს პარაბოლად სამ ნაწილად ყოფენ. ყველაზე ცენტრალურ, კაშკაშა, მკვირვ ადგილს — გულს უწოდებენ; გული ვახვეულია თხელ, ნისლისმავარ ვარსში და ამ ვარსს, გულთან ერთად, კომეტის თავს უწოდებენ; ხოლო თავიდან გამოწვილ, ხშირად უზარმაზარი სიდიდის მქონე თხელ, ნისლისმავარ შვერილს კული ეწოდება. თითქმის ყველა კომეტის

სხეულის მოცულობა აქარბებს ჩვენს დედამიწის მოცულობას. ზოგი მათგანი იმდენად უზარმაზარი ზომისაა, რომ მის სხეულში მზე და პლანეტები, მერკური, ვენერა, დედამიწა და მარსი, თავიანთი ორბიტებით, თავისუფლად ჩაეტევა. მაგალითად, 1843 წელს გამოჩენილი კომეტის კულის სიგრძე 320 მილიონ კილომეტრს უდრიდა. მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ კომეტის ასეთ ბუმბერაზულ ტანთან შედარებით მისი მასა, რომელიც ძირითადად რკინის, ნიკელის, უანგბადის, ტიანის, ნახშირუანისა და სხვა ელემენტებისაგან შედგება, საოცრად მცირეა. დღეს ცნობილ კომეტებიდან არცერთის მასა დედამიწის მასის ერთ მეზობლინდლე მეტი არაა.


მასის ასეთი სიმცირის გამო, კომეტის სიმკვრივე ზედმეტწევით მცირეა. „ჰალლეს კომეტის“ ყველაზე შესქელებული ადგილის სიჭკვირის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ის ისეთია, როგორცაც მივიღებდით 15 კუბური სანტიმეტრი ჩვეულებრივი ჰერის გაშლილი 15 კუბური კილომეტრი ცარიელ არეში. აქედან ჩანს, რომ ამ ზომამდე გაიშვიათებული კომეტის ტანი სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს. მართლაც, მისი გამჭვირვალეობა შეიძლება შევადაროთ იმ ქსოვილის გამჭვირვალეობას, რომელიც აბლაშუდას წმინდა ძაფით იქნება ნაქსოვი, და ყოველ ორ ძაფს შორის მანძილი ათეული კილომეტრებით განისაზღვრება.

მზესთან მიახლოებისას სამყაროს ეს სრულიად ბნელი სხეული — კომეტა მისი სხივებით თბება და ნათდება მით უფრო მეტად, რაც უფრო ახლოს და ახლოს დგება იგი მზესთან. ამგვარად, ეს ბნელი სხეული, მზის სხივებით განათებული, ჩვენს ცაზე გადაქმული, ვერცხლისფრად მოკლევარე კულიდან უცნაურ სხეულად წარმოგვიდგება.

კომეტა წაშში დაახლოებით 40-60 კმ-ის სიჭკვირის ფენის მზეს გარშემო და შემდეგ სწრაზად სცილდება მას. მალე იმდენად შორს შეიჭრება სამყაროს სიღრმეში, რომ ეს კომეტა გიგანტური ტელესკოპებისათვისაც კი მიუწვდომელი ხდება. ის შთაინთქმება სამყაროს უსაზღვრო სივრცეში და ვერც ვისიღავთ მანამდე, ვიდრე არ გაივლის დროის ის ინტერვალი, რომელიც საჭიროა მისი გზის შემოვლისათვის, ისევე ჩვენს ცაზე დასაბრუნებლად.

დღეს კაშკაშა კომეტების გამოჩენა სეროიზულ მეცნიერულ საქვლევ მოვლენას წარმოადგენს. ყოველი მოწინავე ასტრონომი დიდადაა დაინტერესებული ამ უცნაური და იშვიათი ციური სხეულის საბოლოოდ შესწავლით. ახალი კომეტების აღმოჩენა და მათი გამოკვლევა მეცნიერებაში დიდენიშვნელოვანი საქმეა. იგი ამოიღებებს და ნათელს ჰყენს ჩვენს ცოდნას სამყაროს შესახებ. გენიალური ასტრონომი და მათემატიკოსი დიდი ბესელი აღნიშნავდა:

„საზოგადოდ, კომეტის გულზე, თავზე და კულზე ყურადღებამა დაკვირვებებმა შეიძლება მიგვიყვანოს ცის ფიციკის ახალ თვალთხედვამდე.“



„ჰალლეს კომეტის“ გზა.

დოცენტი გ. თმეზაძე



ყურსკვიზებთან

მრავალ თქვენგანს უნახავს თბილისში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მეურნეობა. ნორჩი ნატურალისტები აქ ეუფლებიან სასოფლო-სამეურნეო ჩვევებს, გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი შემოქმედებითი შრომისათვის. აქვე მუშაობენ ნორჩი მეკურდღენიც: მალხაზ დოლიძე, თამარ და გია რატიანები, მარიკა ოძელი და მათი ამხანაგები.

გემრიელი ხორცი, მშვენიერი თევთიკი, ნაზი ტყავი, კარგი ქურჭი, ძვირფასი ფეტრი, ნაზი სიმები, საუკეთესო წებო — აი, რას აძლევს სახალხო მეურნეობას ეს ყურსკვიტა შინაური კურდღელი.

გასულ წელს სადგურის ნორჩმა ნატურალისტებმა 533 ბაჭია გამოზარდეს, ნამრავლი რესპუბლიკის სკოლებსა და საბავშვო ბაღებს გადასცეს ცოცხალი ბუნების კუთხისათვის. სამკვირიანი ბაჭიების ფიტულებიდან კი სკოლების ბიოკაბინეტებისათვის შინაური კურდღლის ჯიშების ორიგინალური კოლექცია დაამზადეს.

პატარები მხოლოდ კურდღლის მოშენებით არ კმაყოფილდებიან! ისინი მათზე მრავალგვარ საინტერესო ცდა-დაკვირვებას აწარმოებენ. გასულ წელს თავიანთი მუშაობის შედეგები წარადგინეს მეორე რესპუბლიკურ კონკურსზე: „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“. ეს ცდა-დაკვირვებები ამჟამად მოწონებული და წარდგენილია 1957 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის საკურდღლეს მრავალნაირი ჯიშის შინაური კურდღელი ამშვენებს: გრძელბეწვიანი თეთრი ანგორული, შვიდკილონიანი ფლანდრი, რუხი შინშილი, ყარაყორუმი, ვენური მტრედისფერი.

ერთი წელიც არ არის მას შემდეგ, რაც ნორჩმა მეკურდღლემ თბილისის 65-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე მალხაზ დოლიძემ განიზრახა ორი ჯიშიდან („ყარაყორუმი“ და „ანგორული“) კურდღლის სრულიად ახალი ჯიშის გამოყვანა. მალხაზმა ამ ახალ ჯიშს „ქართული თევთიკა“ უწოდა. დღეს მალხაზი ცნობილ ნორჩ მეკურდღლედ ითვლება, — მან უკვე გამოიყვანა ახალი საჯიშე ჯგუფი 50 სულის რაოდენობით.

„ქართული თევთიკა“ შემოსილია ნაზი, თეთრად მბზინავი გრძელი ბეწვით; ხოლო ამ თეთრ ფონზე შავად შეფერადებული ყურები და ცხვირი, თათები და კუდი მას განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევს.

ნორჩ ნატურალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეენიშნათ კურდღლებში არსებული მეტად რთული ინსტიქტებიც:

— ჩქარა, ჩქარა მოდით ჩემს გალიასთან! — აღელვებით უძახდა თამარი ერთ დღეს თავის ამხანაგებს.

ნატურალისტები შემოეხვიენ თამარის გალიას... ანგორული ჯიშის დედა კურდღელს თვისა და საკუთარი თევთიკისაგან ერთი ბუდის ნაცვლად ორი ბუდე მოეწყო; ორივე ბუდიდან მოჩანდნენ ახლადშობილნი, მოვარდისფერო, შიშველი ბაჭიები. ბავშვებმა უთვალთვალეს და ნახეს, რომ დედა კურდღელი ორივე ბუდეს მორიგეობით დასტრიალებდა თავს. დაეჭვება შეუძლებელი იყო — ორივე ბუდე გალიის მფლობელ დედა კურდღელს ეკუთვნოდა. დედამ თოთხმეტივე ბაჭია დაზარდა. ცხოველის ასეთი რთული ინსტიქტი — შვილების ორ ბუდედ გაყოფა — მეტად იშვიათი შემთხვევაა.

ნორჩი მეკურდღლეების ცდის შედეგია სადგურში

დღეს არსებული „საინტერესო ოჯახიც“. კატის ბუდეში ჭრელ კნუტებს შორის დანავარდობს ყურცქვიტა ბაჭია, ხოლო მის მეზობელ კურდღლის ბუდეში სიამოვნებით კრუტუნებს პატარა ფისო.

— როგორ მოახერხეთ ეს? — გაკვირვებით კითხულობენ ამ სურათის მნახველნი.

ამაზე მოღიშარი მეკურდღლეები ასე პასუხობენ:

— კურდღელი და საერთოდ ძუძუმწოვრები სუნით სცნობენ თავიანთ შვილებს. ჩვენ კატისა და ერთი დედა კურდღლის მოტყუება მოვიფიქრეთ. ამ ცდისათვის კარგად გავასუფთავეთ ახალდაბადებული ბაჭია, რამდენჯერმე კატას წაფუცაცუნეთ, რომ ბაჭიას კატის სუნი მისცემოდა, და ჩუმად მოვათავსეთ მის კნუტებთან. კატამ ის გაზარდა. ასევე მოვექეციტ ბაჭიასაც, როგორც ხედავთ, დედა კურდღელმაც კარგად გამოზარდა ეს კნუტი.

— არა, არა, ეს რაღაც დაუჯერებელია. — ეკამათება ნორჩ მეკურდღლეებს ზოგი უნდობი ბავშვი.

— ამ ცდის „საიდუმლოება“ თვითონ ცხოველებშია, — აგრძელებენ ნორჩი მეკურდღლეები. — წოვების ინსტიქტი, ან, როგორც მეცნიერები ამბობენ, წოვების რეფლექსი, ცხოველებში იმდენად ძლიერია, რომ მისით შეპყრობილი ცხოველი სხვის შვილს თავისაგან ვეღარ ანსხვავებს, თუ კი ამ სხვას მოხერხებულად მიუყვან.

საცდელი მუშაობა განსაკუთრებით მაშინ გამოცოცხლდა, როცა ერთხელ ოთარ მანგიაშვილმა სადგურის საკურდღლეში პაწია მელია მოიყვანა.

— ცდა დავაყენოთ, მელია ბაჭიებთან დავამეგობროთ, — გადაწყვიტეს ნორჩმა მეკურდღლეებმა და პატარა კუდაგრძელია ბაჭიებით სავსე ეზოში შეუშვეს.

გულგახეთქილმა ყურცქვიტებმა თავშესაფარს მიუშურეს. მელია კი, პირიქით, ძალიან „მოიხიბლა“ ლამაზი ყურცქვიტებით. ჯერ გაოგნდა, მერე ისარივით დაედევნა გაქცეულთ, წამოეწია და ერთი მათგანის ვის ის-ის იყო პირი უნდა ეტაცნა, რომ თვითონ მდროზე სტაცეს ხელი ნატურალისტებმა და გამოაზიზღეს, „პაწია ასწავლეს“.

— მათი დამეგობრება აუცილებლად უნდა შეეცდებოდა, — გადაწყვიტეს მეგობრებმა და მიზანსაც მიადრწიეს. მელია და ბაჭიები მალე დაამეგობრეს.

ცდის პირველ დღეებში ბავშვები მაძირისად ჰყვებოდნენ მელიას და ისე უშვებდნენ ბაჭიებთან. მეორე დღეში კი უკვე ერთად „ასადილებდნენ“. მელია კვერნებს და რძეს შეექცეოდა, ბაჭიები კი ნორბლეულსტაფილოს და მწვანე ბალახს...

დღეს დიდი გამოცოცხლებაა ნორჩ ნატურალისტთა სადგურში. ცხადდება ნორჩ მეკურდღლეთა რესპუბლიკური კონკურსი. ყველა მეკურდღლე კონკურსში მარჯვებაზე ოცნებობს. გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენ პატარა მეგობრებს.

თ. მებრევილი,

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ზოოლოგია-მეცხოველეობის კაბინეტის გამგე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა



სიცოცხლის ხანგრძლიობა

ზვიად გაგონებთ: ძველად ადამიანი ბევრად ღონიერი და ჯანმრთელი იყო, ვიდრე დღეს, და დიდხანსაც ცოცხლობდა.

ეს მოსაზრება, რომ მცდარია, ამას აქ მოყვანილი ციფრებიდანაც დაინახავთ. ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ძველ რომში მხოლოდ 29-30 წელი იყო, შუა საუკუნეებში ეს ციფრი 35-მდე გაიზარდა, მე-18 საუკუნეში სიცოცხლის ხანგრძლიობა უკვე 36 წელი იყო, მე-19 საუკუნეში — 40, 1920 წელს — 55, 1935 წელს — 60, 1952 წელს — 68,5. ეს ციფრები მართლაც განსაცვიფრებელია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყოველი ჩვენგანი აუცილებლად შიადწევს 68 წლის ასაკს? რასაკვირველია, არა. ეს მხოლოდ საშუალო მონაცემებია.



სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის ასეთი მკვეთრი ზრდა უპირველეს ყოვლისა ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებით არის გამოწვეული. ასე მაგალითად: 1887 წელს მცირეწლოვან ასაკში იხოცებოდა ბავშვთა 40 პროცენტი, 1900 წელს — 23 პროცენტი, 1932 წელს კი მხოლოდ 4 პროცენტი. მედიცინისა და ჰიგიენის პროგრესმა, ავადმყოფობანი, როგორც არის: ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება, ტიფი, რომლებიც წინათ განუკურნებლად ითვლებოდა, ახლა უფნებელი გახადა ადამიანისათვის. დღეს ბევრად არის გაზრდილი ადამიანის სიცოცხლის ინდივიდუალური ხანგრძლიობაც. მაგალითად, ამერიკაში 1887 წელს, 65 წელს გადაცილებული ადამიანები მოსახლეობის მხოლოდ 3,4 პროცენტი იყო, 1940 წელს — 6,9 პროცენტი, 1950 წელს კი, ამერიკაში, მოსახლეობის 8,2 პროცენტი იყო გადაცილებული 65 წლის ასაკს.

სიცოცხლის ხანგრძლიობა საბჭოთა კავშირში უფრო დიდია, ვიდრე მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დღეს ბევრი საშუალება არსებობს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივებისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ყველაზე კარგი „წამალი“ — ნორმალური ცხოვრებაა. დღის სწორი რეჟიმი, საკმაო ძილი, ფიზიკური ვარჯიში, თამბაქოს წვეთის აკრძალვა — აი, რაც ყველა ხელოვნურ წამალზე მეტად ახანგრძლივებს სიცოცხლეს.



სირაქლემა — ობობას ბუდე

მარდ სირაქლემასთან სირბილში შეჯიბრი საბერველა ობობამ მოიგო. ეს ევრეთწოდებული საბერველა ობობა, რომელიც ჰოლანდიელმა ბუნებისმეტყველმა — დოქტორმა კეელმა აღმოაჩინა, ისეთ არაჩვეულებრივ ეშმაკობას მიმართავს, რომ მეტად სახიფათო ხდება სირაქლემასთვის.

საბერველა ობობა ჩქარა დარბის, მაგრამ, მიუხედავად თავისი სიმაღლისა, მანაც არ შეუძლია სირაქლემას დაეწიოს. ამიტომ ის ფრინველთა სამეფოში პოულობს შეგობარს. ეს — აფრიკული თუთიყუში გორია. ობობა მას „თვითმფრინავად“ იყენებს და მისი დახმარებით სირაქლემას ახლოს დაფრინავს. როცა თუთიყუში გორი თავისი მგზავრით სირაქლემას ახლოს დაჯდება, ობობა მაშინვე ეღვის სისწრაფით უტევს სირაქლემას, კბენს მას ფეხებში, ჰაერის დაწოლით შეყავს ქრილობაში კვრცხები და ხურავს ქრილობას. ამის შემდეგ ჰაერის მარაგი იხარჯება, ობობა პატარავდება და ღონემიხილი ვარდება ბალახებში. ობობა იღუპება, მაგრამ გამრავლების საქმე უზრუნველყოფილია: მისი ნაკბენიდან ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა საბერველა ობობები იჩიკებან, მაშინ, როდესაც თვითონ სირაქლემა ზვიად იღუპება ანთებისაგან. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ სირაქლემა გაურბის აფრიკულ თუთიყუშს — გოროს.

ეჭვობენ, — საბერველა ობობა ხომ არა იმის მიზეზი, რომ აფრიკაში სირაქლემების ჯოგი ძალიან შემცირდა.

მერცხლები თვითმფრინავით მგზავრობენ...

გასულ წელს, ნადრევი ზამთრის გამო, მილიონობით ახალგაზრდა მერცხალს დალუპა ელდა. შეიცარიელმა ორნიტოლოგებმა („ორნიტოს“ — ბერძნულად ფრინველს ნიშნავს. ორნიტოლოგია ზოოლოგიის დარგია, რომელიც ფრინველებს სწავლობს) მერცხლების გადარჩენის საქმად უცნაური ხერხი გამოიგონეს: მერცხლები თვითმფრინავებით გადაიყვანეს აფრიკაში, სადაც მათ მშვიდობიანად გამოიზამთრეს.

„ციცხვარი კონტინენტი“

მეწამული ზღვა განთქმულია თავისი მდიდარი ფლორითა და ფაუნით, ამიტომ დიდი ხანია მეცნიერები ცდილობენ სრულყოფილად შეისწავლონ ეს ზღვა, შეაგროვონ მის ბინადარ ცხოველთა და მცენარეთა სრული ნიმუშები. მაგრამ დღემდე ვერაინ შეძლო ბოლომდე მიეყვანა ეს რთული საქმე. ახლა კი... თუმცა სჯობს თავიდან დავიწყოთ.

1953 წლის ზაფხულია. ზღვაზე პატარა


გემი გაჩერებულა. გემბანზე მზიან გარუჯული ადამიანები რაღაც საოცარ ნიღბებს იკეთებენ სახეზე, ფეხის ტერფებზე კი თევზის ფარფლებს მსგავსი პატარა ნიჩბები მოურგაიათ. კიდევ რამდენიმე წამიც და, ზღვაში გადაეშენენ. ყველა იმწამსვე წყალში გაუჩინარდა. დანარჩენი უკვე კინოეკრანზე შეგვიძლია ვნახოთ. ერთ-ერთ მყვიანთავს კინოაპარატი აქვს ჩატანილი წყალში და კინოლენტზე იბეჭდება ზღვის საოცარი სამყარო, მთელი თავისი მრავალფეროვნებით: ადამიანები გაბედულად დასრიალებენ უზარმაზარი თევზების გვერდით, სპეციალური თოფებით ნადირობენ მათზე, მებრძვ კი უფნებლნი უკანვე ბრუნდებიან.

ეს ყველაფერი მეწამულ ზღვაში ხდება. იტალიელი მეცნიერის ბრუნო ვალიატის ხელმძღვანელობით მეცნიერები, სპორტსმენები, კინოოპერატორები რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდნენ ზღვის სიღრმეებს; მათ ათიათასი საათი გაატარეს წყალქვეშ და დაამტკიცეს, რომ ადამიანს თავისუფლად შეუძლია გაუმკლავდეს ყველაზე საშიშ მტაცებელ თევზებსაც კი. ამ მამაც ადამიანთა თავგადასავალი ძალზე მიმზიდველად არის ნაჩვენები კინოსურათში, რომელსაც ექსპედიციის მონაწილეებმა „ციცხვარი კონტინენტი“ დაარქვეს. ნახეთ ეს ფილმი, ბავშვებო.



აღმოსავლური კარაქები

ნახ. კ. მახარაძისა



არაბი და ცხენი

არაბი ცხენს ნამუსივით უფრო-ხილდება. შეჯიბრებაში თავისი ცხენის დამარცხება დიდებისა და სახელის დაკარგვად მიაჩნია.

ერთ არაბს ნეჯიდის მხარეში ქურდმა სახელგანთქმული კვიცი — ლულუ მოჰპარა. გაიგო თუ არა ეს ამბავი, პატრონი მეორე ცხენს მოახტა და ქურდს გამოუდგა. დიდი ხნის დევნის შემდეგ, საღამოს, კვიცის მომპარავს წამოეწია. თუმცა ლულუ მდევრის ცხენს ბევრად სჯობდა, მაგრამ რადგან არაბი კარგი ცხენოსანი იყო, ქურდს თანდათან უახლოვდებოდა. ბოლოს მათ შორის ორმოცი, ორმოცდაათი მეტრი-ლა დარჩა. სახელგანთქმული კვიცი, რომლისთვისაც აქამდე არცერთ ცხენს არ გაესწრო, ამ შეჯიბ-

რებაში მარცხდებოდა. არაბი ამ აზრს ვერ ურიგდებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა და ქურდს მიაძახა:

— ჰაბუკო, ცხენს მარჯვენა ყურზე უკბინე და გასწი...

ქურდმა მდევრის დარიგება შეისმინა. ლულუმ სიჩქარეს უმატა და ისარივით გაფრინდა. ორ ცხენოსანს შორის მანძილი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ლულუ ღამის წყვედიადში შთაინთქა... საწყალომ არაბმა კი დევნას თავი დაანება, თავის კარავში დაბრუნდა და შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავს ამ სიტყვებით იმშვიდებდა:

— ლულუ დაიკარგა, მაგრამ მისი სახელი გადარჩა.

ბიჭი და ფადიშაჰი

გადაცმულმა ფადიშაჰმა ქალაქში გაისეირნა. გზაზე ხუთი-ექვსი წლის ბიჭი შემოხვდა, რომელსაც მხარზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. ფადიშაჰს ბიჭი მოეწონა და გამოელაპარაკა:

- საით მიდიხარ ბიჭიკო?
- სკოლაში.
- აიღე ეს ერთი ოქრო და შეაქარი იყიდე.
- მამაჩემმა რომ მინახოს, გამოიჯავრდება და მცემს. მეტყვის — საიდან გაქვსო.
- შენ აიღე. თუ მამაშენმა გკითხოს, უთხარი ფადიშაჰმა მომცათქო. მაშინ არაფერს გეტყვის.
- არ დამიჯერებს.
- რატომ?

— განა ფადიშაჰი ვინმეს ერთ ოქროს მისცემს? თუ ჩანთას ოქროებით გამოვსებ, დამიჯერებს. ფადიშაჰმა ბავშვის გონებაბახვი-

ლობა შეაქო, ჩანთა ოქროებით გაუფსო და გაისტუმრა.

თურქულიდან თარგმნა

მ. ბელთაძემ



ინგლისური იუმორი

პირველი დღე

ტომი დღეს პირველად იყო სკოლაში. გაკვეთილებიდან დაბრუნებულმა სიამაყით განაცხადა, — მასწავლებელი გამომეღობა.

— მაინც რა გითხრა, შვილო? — შეეკითხა მამა.

— რა და, გაჩერდი, წყნარად იყავიო, — მიუგო ტომმა.

მეორე დღე

— ჯენ, რა არის აბსტრაქტული სახელი? — შეეკითხა მასწავლებელი გოგონას.

— არ ვიცი მასწავლებელო.

— რაო? არ ვიციო? რამდენჯერ მითქვამს და ახლაც გეუბნები, რომ ეს არის სახელი საგნისა, რომელზედაც შეგიძლია წარმოდგენა იქონიო, მაგრამ შეხებით კი ვერ შეეხები. აბა, მაგალითი მითხარი.

— გავარვარებული საკეცი, — უპასუხა მკვირცხლად ბავშვმა.

სამკლასო ოთახში

მასწავლებელი: — აბა, ჩემო პატარა მეგობარო, ერთი ეს მითხარი, რამდენია ხუთს რომ ერთი მივუმატო?

პასუხი არ არის.

მასწავლებელი: — ვთქვამთ, მე ხუთი კურდღელი მოგეცი, ხოლო შემდეგ ერთიც დაგიმატე, რამდენი კურდღელი გეყოლება?

ბავშვი: — შვიდი.

მასწავლებელი — როგორ?

ბავშვი: — როგორ და, ერთი კურდღელი უკვე მყავს სახლში.

სტუმართმოყვარეობა

კეთილმა დიასახლისმა მოუბოდიშა თავის მოულოდნელ სტუმარს, რომ ვაშლის ღვეზელი ყველის გარეშე მიართვა. ამ დროს მისი პატარა ბიჭი გაიპარა მეორე ოთახში, გამოიტანა ყველის ნაჭერი და დაუდო სტუმარს თევზზე. სტუმარმა გაიღიმა, ჩაიღო ყველი პირში და უთხრა:

— როგორც ჩანს შენ უფრო კარგი თვალები გქონია, ვინემ დედაშენს. მაინც სად იპოვე ეს ყველი?

— ხაფანგში. — მიუგო ბიჭმა.

ინგლისურიდან თარგმნა

გ. დოლიძემ

ბექნიკის სამყაროში


დიდი აღმოჩენები მთელ ეპოქას აჩვენებენ თავის კვალს, საგრძნობლად ცვლიან საზოგადოების ცხოვრებას. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ორთქლის საუკუნეზე, ელექტრონის საუკუნეზე. ახლა კაცობრიობა ატომის ენერჯისა და რადიოლოკაციის ეპოქაში შედის.

მაგრამ არის სხვა, ბევრად უბრალო გამოგონება და აღმოჩენა, რომელიც არ ქმნის ეპოქას და ერთი უხეხევით თითქოს უმნიშვნელოა. სინამდვილეში კი ეს პატარა გამოგონებები ადამიანს დიდად უადვილებს ცხოვრებას, ეხმარება მას.

აი, ასეთ პატარა გამოგონებებზე გვინდა ვიამბოთ დღეს. გნახოთ, რა ახალი ამბები მოგვიტანა უკანსკნელმა ფოსტამ.

ავჯი უვიკლება ნახერხისაგან დამზადდა

აქამდე ხის ნახერხი, როგორც შენთვის კარგად არის ცნობილი, მხოლოდ საწვავად ან ქიმიურ მრეწველობაში თუ გამოიყენებოდა. პეკინიდან იტყობინებთან, რომ ნახერხისაგან იქ უკვე ამზადებენ ლამაზ, გამძლე ავიჯს. ნახერხის გადაქცევა ხელს სპეციალურ ავრეგატებში ხდება, სადაც წებოსთან შერეული ნახერხი დიდი წნევის ქვეშ იწნება.



ტანსაცმელი ქალაქისაგან


დამთავრდა სანუშაო დღე. მუშები იხდიან ტანსაცმელს და სანაგვე ყუთში ჰყრიან. „როგორ თუ ჰყრიან“ — იტყვი გაოცებული. საქმე იმაშია, რომ ეს ტანსაცმელი ქალაქისაგანაა გაკეთებული და მისი დამზადება ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი ტანსაცმლის გარეცხვა. ეს ქალაქი ანგრიკის ერთერთ ქალაქის ფაბრიკაში გამოიგონეს. იგი არ გაგს ჩვეულებ-

რივ საწერ ქალაქს; გამძლეა, დრეკადი და თანაც რბილი, ხელის შეხებით მატერიისაგან ვერც კი გამოარჩევ. ქალაქი რამდენიმე ხარისხის მზადდება, ზოგი მათგანი შალის მაგიერობას სწევს და ზამთარში ზმარობენ. ასეთი ქალაქისაგან დამზადებულ ტანსაცმელს ცეცხლი არ ეკიდება და სისველესაც კარგად უძლებს, შეკერვა ადვილია, მაგრამ არჩევენ წინასწარ დამზადებული სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთზე შიფტებას. (ვთქვათ, განზადებულ სახელოს მხარზე მიამაგრებენ). ასეთი სპეცტანსაცმლის ხმარება უზრუნველყოფს იდეალურ სისუფთავის კვების, ქიმიურ და ფარმაცევტულ წარმოებაში, აგრეთვე საავადნყოფოებსა და სასაბავშვოებშიც.

ატომოპოლითა დასახმარებლად


ბევრ თქვენგანს შეუშინებია, რანდენი დრო ეკარგება ატომანქანის მძღოლს დაზიანებული საბურავის შესაჩეთებლად. ჯერ თვალს უნდა მოხსნას, ამოიღოს დაზიანებული და ჩადოს საბურავში ახალი ან შეკეთებული კამერა; თავისი ხელით, საქაჩავით უნდა გაბეროს იგი, შემდეგ კი თვალი თავისივე ხელით ხრახნებით მიამაგროს. ახლა ამისათვის მხოლოდ 30 წამია საჭირო. დაზიანებულ საბურავში, სპეციალური საქაჩავით გაზთან ერთად უშვებენ წებოვან ხსნარს, რომე-

ლიც დაუყოვნებლივ ჰფენს დაზიანებულ ადგილს და ბერავს კამერას. ადვილი წარმოსადგენია რამდენად გაუადვილებათ შრომა ავტომძღოლებს.



ეს უცნაური იარაღი — ფოტოაპარატი

ამ სურათზე შენ ხედავ ახალ ფოტო-აპარატს, რომელიც ახლახან გამოიგონეს იაპონიაში. სურათის გადასაღებად სულ ადვილი ოპერაცია — ჩახმასხე თითის გამოდება საჭირო. აპარატს შეუჩერებელი, ავტომატურად 30 კადრის გადაღება შეუძლია, რაც მეტად საჭიროა სპორტული ან ქრონიკალური გადაღებების დროს.



ავტომატური წყლის ქვეშ

იაპონიაში, რომელიც მრავალი ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულისაგან შედგება, ტვირთზიდვის ძირითადი სიმძიმე ზღვის ტრანსპორტზე მოდის. მაგრამ ეს ხშირად ქმნის დაბრკოლებას, რადგან იაპონიის მიდამოებში ზღვამ ხშირი დღევა იცის.

იაპონელმა ინჟინრებმა ამ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად, ერთი საინტერესო იდეა წამოაყენეს. მათ გადაწყვიტეს შეაერთონ კუნძულები ხოკაიდო და ხონდო მ მეტრის დიამეტრის, რკინაბეტონის მილით. მილი სრულტეში იქნება ჩასვეებული და შიგ საავტომობილო გზა გაივლის.

ჩემი საჩუქარი ფესტივალს



მერვე კლასში ვიყავი, როცა სკოლისათვის გავაკეთე ჩვენივე სკოლის მაკეტი. მუყაოზე მუშაობამ არ მიმიზიდა, მინდოდა გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც უფრო დიდხანს გასძლებდა. სწორედ იმ ხანებში, ხალხური ხელოვნების სახელში ვნახე ხეზე ნაკეთობანი. ძალიან მომეწონა. მეც მომიინდა მათი გაკეთება. ხეზე მუშაობისათვის კი საჭირო იყო სპეციალური იარაღები, რაც არ მქონდა. ამიტომ შევიძინე სამართებელი, სამედიცინო იარაღები, მივეცი მათ სასურველი ფორმა და ხეზე ჭრას შევუდექი.

წელს გადავწყვიტე საფესტივალო კონკურსისათვის დამემზადებინა ქართული მინიატურული საკრავები. ამხანაგები ექვის თვლით უყურდნენ ჩემს წამოწყებას. ერთი კვირის შემდეგ დავამთავრე ფანდური. სამუშაოს დამთავრებამ წამახალისა, განვაგრძე მუშაობა. ხშირად მეურჩებოდა ხან ხე, ხან საჭრისი, მაგრამ მუშაობას ვერ ვთმობდი: მინდოდა მალე მენახა მათი მთლიანი სახე. ორმოცი დღის განმავლობაში გავაკეთე: ჩონგური, სალამური, ჩანგი, ქამანჩა და დიბლიბიტო.

საკრავების დამზადებისას ყურადღებას ვაქცევდი მათს სილამაზესა და მხატვრულობას.

ბევრი ვიფიქრე, მაგალითად, ჩანგზე. იგი ხომ ძველი ქართული საკრავია, და საქართველოდ გავიარე. გამახსენდა ვაჟას ბრწყინვალე ლექსი არწივზე და აკაკის დიდებული სტრიქონები: „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი“, ამიტომ ჩანგის ზედა ნაწილზე არწივის თავი გამოვჭერი, ხოლო შვიდივე „ჯორა“ არწივის მართვედ გამოვთალე. არწივი — საქართველოა, მართვეები — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე, ჩანგი კი — ჩვენი ძველი ქართული საკრავია.

მომავალში ვფიქრობ გავაუმჯობესო ჩემი ნამუშევრები.

მზია ლოლიზვილი,


თბილისის 58-ე სკოლის მოსწავლე.



მზია ლოლიზვილის ნამუშევრები იხილეთ გარეკანის მეოთხე გვერდზე: 1 და 2 — ჩონგურები; 3. ფანდური; 4. ჩონგური; 5. ფანდური; 6. სალამურები; 7. დიბლიბიტო; 8. ფანდური (კახური); 9. ფანდური; 10. ჩანგი (ახვანური); 11. ქამანჩა; 12. ჩანგი (სვანური). (საკრავები იბეჭდება ნატურალური ზომით).

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

შემოსახვეთ ხელის აუღებლად



კ ა ს უ ხ ე ბ ი

„პიონერის“ № 5-ში მოთავსებულ
გასართობზე

I—მარწყვი; II—საირმე; III—
ჯიხვი; IV—ქადარი; V—ბორ-
ცვი; VI—ჩოხა; VII—კალათა;
VIII—აგატი; IX—შენ.

„აირჩიე რაც შენ მოგწონს,
საჭიროა ყველა დარგი,
ისწავლე და იბეჯი
და ოსტატი გახდი კარგი.“

პიონერული საუფსჯივალ სიმღერა

(ტექსტი გარეკანის მესამე გვერდზე
მოთავსებული სიმღერისათვის)

სამშობლოს დილამ მოგვცა სილადე,
გულს სიხარულის ალი ედება,
დავიპყრობთ ცოდნის ყველა სიმადლეს,
რათა მამული იქცეს ედემად.

მ ი ს ა მ დ ე რ ი :

ჰყვავის ბუნება, ჩვენი დროა, ჩვენი დარია,
გალადებულნი მოვიმღერით, მოგვიხარია.

როგორც მაღალ მთის წყარო ანკარა,
სიმღერებს ვამბობთ სპეტაკ გულებით,
რა საამური დარი დამდგარა —
საესე ვარდებით და ბულბულებით.

მ ი ს ა მ დ ე რ ი :

ჰყვავის ბუნება, ჩვენი დროა, ჩვენი დარია,
გალადებულნი მოვიმღერით, მოგვიხარია.

სამშობლოს დილამ მოგვცა სილადე,
გულს სიხარულის ალი ედება,
დავიპყრობთ ცოდნის ყველა სიმადლეს,
რათა მამული იქცეს ედემად.

მ ი ს ა მ დ ე რ ი :

ჰყვავის ბუნება, ჩვენი დროა, ჩვენი დარია,
გალადებულნი მოვიმღერით, მოგვიხარია.

მოსე ქარაიძე

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი
ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ

ფაბი 2 მ

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 6 19
Тбилиси, Плеваханова, 91. მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-8

შე 01250, ტირ. 15.000, ხელმოწ. დასაბ. 11/VI-57 წ. სტამბის შეგვ. № 610, განმც. შეგვ. № 2
საქ.ჯ.კ. ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

პიონერული საფასივალო სიმღერა



მუსიკა იაკობ გოგობიძისა

მარჯის ტემპით

ტექსტი ვინა ქარაგანი

სამ-მო-ბლოს დი-ღამ

მო-ვცა სი-ღა-ღე, გულს სი-სა-მუ-ღი ა-ღაღ-ე-ღე-ბა, და-ვი-პურობთ ცო-ღნის

ყვე-ლა სი-მა-ღღეს, რა-თა მა-მუ-ღი ი-ქცეს ე-ღე-მად. და-ვი-პურობთ ცო-ღნის

ყვე-ლა სი-მა-ღღეს, რა-თა მა-მუ-ღი ი-ქცეს ე-ღე-მად ყვე-ვის ბუ-ნე-

ბა გვე-ნი ღრო-ა გვე-ნი ღა-რი-ა გა-ლა-ღე-ბულ-ნი

მო-ვი-მღერით მო-გვი-სა-რი-ა ი-ქცეს ე-ღე-მად

ქართული საკრავები

6.57/117

საქართველოს
საზღვრო
მუზეუმი

